# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 10 მარტი, 2011 წელი.

№44 (6656)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## „ჰაიტ, თქვე წითელო პროფესორებო!“



4

## რევოლუციის მოხდენის და სააკაშვილის კაბინეტიდან გამოძევების სურვილს ლეიბორისტები ძალაში ტოვებენ

2

## ბურების მეორე ვოიაჟი ცხრა ზღვას იქით



6

## რა სიკეთეს მოგვიტანს თავისუფალი ინდუსტრიული ზონა?

7

## პრეზიდენტის სოფლობანა კვეზერელთან ერთად...

3



## მეწარმეებს ეშინიათ, რაც დარჩათ, ისიც არ წაართვან!

6



ქართული ეკლესიის ისტორიიდან

## გზა გაბრიელ ეპისკოპოსისა

4

## მართლაც ასე ვგავართ სინგაპურს?

5

## რუსეთში რევოლუცია გარდუვალია

3



## საქართველო ამერიკისა და რუსეთის ურთიერთობათა დაბრკოლებაა

8



## ჩვენი ხალხი პირუტყვი როდია!

9

№ 44. ხუთშაბათი, 10 მარტი, 2011 წელი.

## ოპოზიცია

**რევოლუცია და სააკაშვილის კაბინეტიდან გაძევება, — ეს ერთადერთი ხერხი ეჩვენებათ „ლეიბორისტებს" მომგებიანად, იმისთვის, რომ ქვეყანაში წესრიგი დამყარდეს.**

**როგორ შეიძლება რევოლუციის მიღწევა? მართალი გითხრათ, კონკრეტული, დამაჯერებელი, არგუმენტირებული პასუხის მოსმენა გიორგი გუგავასგან შეუძლებელი გახდა, თუმცა მაინც თამამად აცხადებს, რომ ლეიბორისტები ყოველთვის ავანგარდში იქნებიან: „ყოველდღიური ბრძოლით შევეცდებით ამის მიღწევას. ან შევიწირავთ ამ რეჟიმს, ან თავად შეგვიწირავსო", — განაცხადა მან ჩვეული პათოსით გუშინ გამართულ ბრიფინგზე.**



პრესკონფერენციის თემა გახლდათ ელექტრონული პირადობის მოწმობები, რომელსაც ხელისუფლება საარჩევნოდ დაბეჭდავს და უსასყიდლოდ დაურიგებს მოსახლეობას: „ბიომეტრიული პასპორტები თავზე დაგვახიეს და რა არჩევნებს ველოდებით? რომელიმე ავტორიტარული რეჟიმი წავიდა არჩევნების გზით?! — იკითხა გუგავამ.

# რევოლუციის მოხდენის და სააკაშვილის კაბინეტიდან გამოძევების სურვილს ლეიბორისტები ძალაში ტოვებენ

## სანამ ე. წ. ოპოზიციური „რვიანი" საარჩევნო ონანიზმითაა დაკავებული

ბრიფინგის პარალელურად საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ოპოზიციისა და ხელისუფლების კონსულტაციები მიმდინარეობდა. სამუშაო ჯგუფის გუშინდელი შეხვედრა კვლავ ბიომეტრიული პირადობის მოწმობების საკითხს დაუთმო, მაგრამ საზოგადოებამ იხილა ხელისუფლების მიერ შემუშავებული „პირადობის ელექტრონული მოწმობის თვითღირებულების გაანგარიშება". ამდენად, ალბათ, თავის წარდგენილ პროექტს უკვე აღარ შეცვლის.

ჯერ კიდევ მოლაპარაკების დასაწყისში აცხადებდა პავლე კუბლაშვილი, რომ „არჩევნებზე ბიომეტრიული მოწმობების გამოყენების საკითხი განხილვას არ ექვემდებარება, რადგან ის საფრთხის შემცველია და ეს უცხოელი ექსპერტების დასკვნებშიც არის ასახული. დღეს არც ერთ ქვეყანაში ბიომეტრიული პასპორტებით ამომრჩევლის იდენტიფიკაცია არ ხდება. ეს იქნება ძალიან რთული, რაც შესაძლოა არჩევნების ჩაშლის მიზეზიც გახდეს".

მაგრამ როგორც გიორგი გუგავამ ბრიფინგზე განაცხადა, **„სანამ ე. წ. ოპოზიციური „რვიანი" საარჩევნო ონანიზმითაა დაკავებული, სააკაშვილის გაყალბების მანქანა ამუშავებულია". ლეიბორისტის მტკიცებით, ხელისუფლებამ ახალი პირადობის მოწმობების დასამზადებლად ხელშეკრულება დადო გერმანულ კომპანია „მიულბაუერთან". ტენდერი ამ საკითხზე არ გამოცხადებულა, ამდენად შეთანხმებაც კრიმინალურია: „აღნიშნული ჯგუფი ხელისუფლებასთან შეთანხმებით შექმნის ასიათასობით ამომრჩევლის ყალბ მოწმობას, რომელსაც მომავალი არჩევნების ტოტალურად გასაყალბებლად გამოიყენებენ".**

ელექტრონული მოწმობის სიები ოპოზიციამ მაშინვე შეაფასა, როგორც გაბერილი და არასერიოზული. მთლიანი ხარჯი, რომელიც პირადობის მოწმობების დასამზადებლად ხელისუფლებას შვიდი წლის განმავლობაში უნდა გაეღო — 132 მილიონ 130 ათას 500 ლარითაა განსაზღვრული, ხოლო 14 თვეში ამის განსახორციელებლად დამატებით 57 მილიონ 717 ათას ლარს ასახელებს. ოპოზიციური „რვიანის" გათვლით, პროექტის განხორციელებას 66 მილიონი ლარიც ყოფნის.

რაც შეეხება გერმანულ კომპანია „მიულბაუერს", ლეიბორისტების ინფორმაციით, ის ერთხელ უკვე გაეხვია დიდ სკანდალში უგანდაში. მან იქაურ პრეზიდენტთან 64-მილიონიანი გარიგება დადო და საარჩევნოდ ყალბი პირადობის მოწმობები დაამზადა. ამის შემდეგ უგანდის პრეზიდენტი ხელისუფლებაში დარჩაო, წერდნენ საერთაშორისო გამოცემები, გერმანული „შპიგელი", „ობსერვატორი" და სხვა. ლეიბორისტებმა მიმართვა გაუგზავნეს გერმანიის ხელისუფლებას, რათა საქართველოდან გაიწვიონ „მიულბაუერი".

„ზაფხულიდან აპირებენ ახალი პირადობის მოწმობების დარიგებას და გაყალბებული არჩევნებიც სახეზე გვექნება, — აცხადებს გიორგი გუგავა. ის მკაცრად აპროტესტებს ხელისუფლებასთან დაწყებულ დიალოგს საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად. „ამით მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმი სარგებლობს, რომელსაც საგარეო პიარისთვის, იმის საჩვენებლად სჭირდება, თუ რამდენად დემოკრატიულია ხელისუფლება, მაგრამ სანამ არჩევნების წარმართვა სააკაშვილის ხელშია, მისი ნდობა შეუძლებელია. დადასტურებულად შემიძლია გითხრათ, რომ კორუმპირებულ გერმანულ კომპანიას სწორედ იმიტომ შეუკვეთეს მოწმობების დამზადება, რომ არჩევნების გაყალბებას აპირებენ. ეს ყველაფერი წინასწარ ვიცით. იციან იმ ოპოზიციურმა პარტიებმაც, რომლებიც არჩევნების გზით აპირებენ ხელისუფლების შეცვლას. ის, ვინც სააკაშვილს ენდობა, ბრიყვი, ან ავანტიურისტია... სანამ ესენი ვითომ დიალოგს აწარმოებენ, ნაციონალებმა უკვე დანიშნეს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები ხუთი წლით. ამის შემდეგ ვიხილავთ ოპოზიციის მომტირალ სახეებს, როგორ გადააგდო ისინი ხელისუფლებამ"..., — რისიც, რა თქმა უნდა, ლეიბორისტებს არ სჯერათ. შესაბამისად, საზოგადოებასაც უნდობლობისკენ მოუწოდებენ...

**ნია ფიფია**

## მოლაპარაკება იწყება

# მსო-ში რუსეთის გაწევრების თანხმობის სანაცვლოდ მოსკოვისგან რაიმე დათმობის იმედი არ უნდა გვქონდეს

**პოლიტოლოგ გოგი ხუციშვილის აზრით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრების თანხმობის სანაცვლოდ მოსკოვისგან „რაიმე დათმობის" იმედი არ უნდა გვქონდეს.**

„დიდი მოლოდინი, რომ საქართველოს მხრიდან რუსეთის მსო-ში გაწევრების თანხმობის, ან ხელშეწყობის ნაცვლად მოსკოვისგან დათმობებს მივიღებთ, არ უნდა გვქონდეს. ჩვენ არ ვართ იმ მომგებიან პოზიციაში, რომ მას ჩვენი პირობები ვუკარნახოთ, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს საკითხი გამოვიყენოთ საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებათა ფორმატის გასააქტიურებლად. თორემ ის, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრების შემთხვევაში მოსკოვი ისეთ კარდინალურ საკითხებზე წავა დათმობებზე, როგორიც დეოკუპაცია და კონფლიქტის ზონებია, მოსალოდნელი, რა თქმა უნდა, არ არის", — განაცხადა გოგი ხუციშვილმა.

მეტიც, პოლიტოლოგის განმარტებით, თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის დალაგებამდე ქვეყნებს შორის ვაჭრობაც კი ნაკლებადშესაძლებელია განვითარდეს.

„ლაპარაკია იმაზე, რომ რუსეთის მსო-ში გაწევრების თანხმობის ნაცვლად საქართველომ ჩვენი პროდუქციისთვის რუსეთის ბაზრის გახსნა მოითხოვოს. ჩემი აზრით, როცა ურთიერთობაში საერთო ფონი დაძაბულია, ვაჭრობის განვითარება ნაკლებმოსალოდნელია. ფართომასშტაბიან ვაჭრობაზე მას შემდეგ შეგვიძლია ვიფიქროთ, რაც ურთიერთობა დალაგდება, მანამდე არა", — აღნიშნა პოლიტოლოგმა.

შეგახსენებთ, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრების საკითხზე მოლაპარაკებები იწყება. მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი ხვალ, 9 მარტს, ბერნში გაიმართება.

**„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანია ქართულ მხარეს რუსეთის მსო-ში გაწევრების თაობაზე მოსალაპარაკებლად ორ წინადადებას სთავაზობს.**

„ქართული დელეგაციისთვის ორი ფაქტორი უნდა იყოს სახელმძღვანელო: პირველი, რომ სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრების შემდეგ ის მოექცეს თამაშის აღიარებულ წესებში და მოახდინოს ქართული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზრის დაბრუნება და მეორე — სავაჭრო ორგანიზაციის თამაშის წესები ნიშნავს, რომ ერთმანეთის საბაჟო საზღვარი უნდა იყოს დაცული. ამ მიმართულებით, თბილისმა უნდა მოითხოვოს საერთაშორისო ლეგიტიმაციის მქონე ერთ-ერთმა ორგანიზაციამ დაიკავოს საბაჟო საზღვარი", — განაცხადა ალასანიამ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ინიციატივა

# აბიტურიენტებისთვის უფასო მოსამზადებელი კურსები გაიხსნა

**სწავლის გაგრძელების მსურველმა აბიტურიენტებმა უკვე დაიწყეს მზადება ეროვნული გამოცდებისთვის.**

**გუშინ საგანმანათლებლო ცენტრმა „ცოდნამ" გამოაცხადა, რომ აბიტურიენტთა უფასო სწავლების კურსები გახსნა. პროექტი ითვალისწინებს იძულებით გადაადგილებულ და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა უფასო მომზადებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის. უკვე შეირჩა 250 ნიჭიერი აბიტურიენტი მთელი საქართველოს მასშტაბით, რომლებიც ოთხი თვის მანძილზე გადამზადების ინტენსიურ კურსს გაივლიან. პროექტს რამდენიმე სპონსორი და მხარდამჭერი ჰყავს: „საქართველო-ამერიკის საერთაშორისო ფონდი", ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტრო, გორის „სუხიშვილების სასწავლო უნივერსიტეტი". სწორედ ამ უკანასკნელის ბაზაზე გახდება შესაძლებელი აბიტურიენტთა მომზადება გორში. ცენტრის მხარდაჭერით კურსები გაიხსნა თელავში, რუსთავში, ქუთაისში.**

**ასე რომ, ცოდნის გაღრმავების მსურველ ახალგაზრდებს შეუძლიათ მიმართონ „ცოდნას" და ეროვნულ გამოცდებამდე დარჩენილი მცირე დრო ნაყოფიერად გამოიყენონ.**

**ნია ფიფია**

## ინფორმაცია

### ქვეყნის ყველაზე დიდი სირცხვილი ვაუჩერების დარიგებაა

**მთავრობის წევრებმა ოპოზიციური ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენლის ლევან ვეფხვაძის კრიტიკა იმის გამო დაიმსახურეს, რომ ენერგოვაუჩერების დასარიგებლად ისინი მოსახლეობასთან ტელეკამერებით დადიან.**

**— ადამიანს, როცა 20-ლარიან დახმარებაზე თვალზე ცრემლი ადგება, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა სიღატაკეში ცხოვრობს. მინისტრებს უნდა რცხვენოდეთ, როცა 20-ლარიან ენერგოვაუჩერს სოციალურად შეჭირვებულ და თვალზე ცრემლმომდგარ ადამიანს ტელეკამერების წინაშე აძლევენ, მის ადგილზე მისატანად კი მანქანაში 100 ლარის ბენზინს ასხამენ, — განაცხადა ვეფხვაძემ დღევანდელ პლენარულ სხდომაზე.**



**ვეფხვაძის კრიტიკას სხდომაზევე გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ მელიქიშვილი და აღნიშნულში „ქრისტიან-დემოკრატები" თავად დაადანაშაულა.**

**— ჩვენ უმრავლესობისგან განსხვავებით, კუთვნილი ენერგოვაუჩერები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სახლს კამერების გარეშე გადავეცით, — უპასუხა „ქრისტიან-დემოკრატების" კიდევ ერთმა წარმომადგენელმა მაგდა ანიკაშვილმა მელიქიშვილის განცხადებას.**

### პრეზიდენტი მარტო ჯონდის უსმენს

**პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის" ლიდერი, ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდო ბაღათურია, მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ქართული დასს" უსმენს.**

**როგორც მან პლენარულ სხდომაზე განაცხადა, სოფლის მეურნეობის განვითარებასა და საპენსიო რეფორმის გატარებაზე პრეზიდენტის ინიციატივა სწორედ ხსენებული პოლიტიკური ორგანიზაციის ინიციატივას ეფუძნება.**

**ბაღათურიას თქმით, ამ საკითხებზე „ქართულ დასს" რეალური პროგრამები აქვს შემუშავებული და მათ წარმოდგენას უახლოეს ხანში პლენარულ სხდომაზეც აპირებს.**

**— თუ მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელ საქციელს დავუკვირდებით, ნახავთ, რომ თქვენზე კარგად იცის, რომ ქვეყანაში ღარიბი და ღატაკი ადამიანების რაოდენობა ჯამში 72 პროცენტს შეადგენს, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ და დასძინა, რომ პარლამენტში პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლისას სათანადო სტატისტიკური მონაცემები პრეზიდენტს თავად გადასცა.**

**— მიხარია, რომ სააკაშვილი „ქართული დასის" ინიციატივებს ისმენს, — აღნიშნა ჯონდო ბაღათურიამ.**

### იწყება პედაგოგთა გადამზადება

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს ყველა რეგიონში პედაგოგებს ტრენინგებს ჩაუტარებს. ტრენინგები 25 მარტიდან დაიწყება და მასში მონაწილეობას იმ საგნების პედაგოგები მიიღებენ, რომლებშიც 2011 წელს სასერტიფიკაციო გამოცდები იგეგმება.**

**როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა განაცხადეს, სახელმწიფო დაფინანსებით ტრენინგებს მასწავლებლები პროფესიულ უნარებსა და შესაბამის საგანში გაივლიან. სასერტიფიკაციო გამოცდების დაწყებამდე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების მიერ 12 000-მდე მასწავლებელი გადამზადდება.**

**ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი**

რა იქნება ხვალ?

# რუსეთში რევოლუცია გარდუვალია

*რუსეთში სიტუაცია გაცილებით უფრო მძიმეა და აქ რევოლუცია გარდუვალია. ეს იქნება მცდელობა, ნაპოვნი იქნეს მომავალი და განვითარების კურსი, რომელიც რუსეთს ერთიან სახელმწიფოდ შეინარჩუნებს, ხოლო რუსებს და სხვა ძირძველ ხალხებს — როგორც ნაციონალურ-სოციალურ ერთობლიობას. დღევანდელი კურსისა და რეჟიმის პირობებში რუსეთს მომავალი არ აქვს. წინ ისახება კატასტროფა — ქვეყნის დაშლა და რუსული სამყაროს წასვლა ისტორიული არენიდან.*



*ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ძვრები სრულიად კანონზომიერია, თუმცა რუსეთში არსებული სიტუაცია გაცილებით უფრო რთულია და რევოლუცია აქ გარდუვალია, — აცხადებს რუსეთის გეოპოლიტიკური აკადემიის პრობლემების პრეზიდენტი ლეონიდ ივაშოვი.*

„ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ძვრები სრულიად კანონზომიერია. მიზეზი კი ის არის, რომ არაბული სამყარო ჩამორჩება მსოფლიოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების საერთო ტენდენციებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა არაბული სახელმწიფო საკუთარ ეკონომიკურ მოდელს იყენებს — საერთო სიტუაცია აქ მაინც კატასტროფულია. ერთი და იგივე ადამიანების ოცდაათი და ორმოცწლიანი მმართველობა ქმნის პირამიდას, რომლის სათავეშიც უახლოესი ნათესავები არიან, მათ ქვეშ შორეული ნათესავები, შემდეგ ნათესავების ნათესავები და ასე. კადაფს რვა ვაჟი ჰყავს და თითოეულ მათგანს თავისი ასეთი პირამიდა აქვს შექმნილი. თუკი ამ კლანში ვერ მოხვდი, არავითარი პერსპექტივა არ გაქვს“, — აცხადებს ივაშოვი და აღნიშნავს, რომ მიუხედავად ყოველივე ამისა, რუსეთში სიტუაცია გაცილებით უფრო მძიმეა და აქ რევოლუცია გარდუვალია.

„რუსეთში სიტუაცია გაცილები უფრო მძიმეა და აქ რევოლუცია გარდუვალია. ეს იქნება მომავლის და განვითარების კურსის პოვნის მცდელობა, რომელიც რუსეთს ერთიან სახელმწიფოდ შეინარჩუნებს, ხოლო რუსებს და სხვა ძირძველ ხალხებს — როგორც ნაციონალურ-სოციალურ ერთობლიობას. დღევანდელი კურსისა და რეჟიმის პირობებში რუსეთს მომავალი არ აქვს. წინ ისახება კატასტროფა — ქვეყნის დაშლა და რუსული სამყაროს წასვლა ისტორიული არენიდან. ეს ობიექტური მონაცემების გაცნობისას, როდესაც სახელმწიფო სტატისტიკას ეცნობი, თმები ყალყზე გიდგება. დაახლოებით ასი მილიონი რუსიდან, 23 მილიონი ლოთია, 6 მილიონი ნარკომანი, 6 მილიონი შიდსით დაავადებული და 4 მილიონი მეძავია. ჩვენ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გვაქვს არაკეთილსაიმედო ოჯახებისა — ათას ქორწინებაზე 640 განქორწინება მოდის. რევოლუციური მოთხოვნები უბრალოდ აუცილებელია, უბრალოდ, ღმერთმა ქნას, რომ ყოველივე მშვიდობიანი გზით მოგვარდეს“, — აცხადებს ივაშოვი და დასძენს, რომ ის, რაც დღეს ახლო აღმოსავლეთში ხდება, არის საფუძველი იმისა, რომ რუსეთმა თავის დეგრადაციაზე ისაუბროს.

„დიახ, მუბარაქი, კადაფი და დანარჩენები იპარავდნენ და თავიანთთვის სიმდიდრეს აგროვებდნენ, თუმცა ისეთი გლობალური დატაცება, როგორიც რუსეთშია, არც ერთი სახელმწიფოს ისტორიაში არ ყოფილა. ორი ოლიგარქიული კლანი, რესურსების პრივატიზატორები და ჩინოვნიკები წოვენ ყველაფერს ხალხისგან და სახელმწიფოსგან. მოსახლეობის რეალური შემოსავალი გასული წლის იანვართან შედარებით 47%-ით შემცირდა. ნავთობი ძვირდება — ჩვენთან ბენზინი ძვირდება. ნავთობი იაფდება — ბენზინი მაინც ძვირდება. ფასები პროდუქტებზე და ყველაფერ დანარჩენზე გამუდმებით იმატებს.

ხელისუფლების მქონე ჩინოვნიკთა ჯგუფს და დაახლოებულ ოლიგარქებს ძალიან კარგად ესმით, რომ რევოლუციის თავიდან აცილება ვერ მოხდება. ამიტომაც ისინი ცდილობენ, გამოსწოვონ ყველაფერი და თავიანთი ბიზნესი საზღვარგარეთის სტრუქტურებზე შეკრან. ამას კი იმისათვის აკეთებენ, რომ როდესაც მათთვის აქტივების წართმევას დაიწყებენ, ნატოს დაუძახონ დასახმარებლად და დასაცავად.

დღეს ევროპა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ლიბიის ნავთობზე. ისინი ხედავენ, თუ ვინ გაიმარჯვებს და ამიტომაც უარს ამბობენ კადაფზე და ახალ ძალებს ეკეკლუცებიან. რუსეთს კი თავისი ახლოაღმოსავლეთის გეოპოლიტიკური პროექტი არ აქვს. ჩვენ ძალიან არათანამიმდევრულად ვიქცევით — ვაფორმებთ ისრაელთან სამხედრო ხელშეკრულებებს, შემოგვაქვს სანქციები ირანის წინააღმდეგ და ამით ვაღიზიანებთ ისლამურ სამყაროს. მედვედევი კადაფს სამხედრო დამნაშავედ აცხადებს, იმისათვის, რომ მან თავის ხალხს ესროლა, ამავე დროს ელცინს, რომელმაც თავის ხალხსა და პარლამენტს ესროლა, ძეგლებს უდგამენ. ასეთი ქმედება ამ ხელისუფლების მთელი ცინიკურობის მაჩვენებელია“.

„რუსეთში გარჩევები აუცილებლად დაიწყება და სამწუხაროდ ისინი გაცილებით უფრო სასტიკი იქნება — რაც არ უნდა იყოს, ქვეყანა ხომ მრავალეროვანია“, — აცხადებს ლეონიდ ივაშოვი.

ჯი-ეიჩ-ენი



ისევ სატელევიზიო შოუ

**თავიდან მინდოდა, რომ ამ წერილის ქვესათაურის ბოლოს, ძახილის ნიშნის ნაცვლად, კითხვის ნიშანი დამესვა.**

კითხვის ნიშანი დამესვა, რადგანაც უამრავი პრობლემაა საქართველოს სოფლის მეურნეობაში. უამრავი ახალი გამოწვევა დგას ქართველი გლეხის კართან. ამ პრობლემებს და გამოწვევებს კი თანამედროვე ტექნოლოგიები და ახლებური მიდგომა სჭირდება.

სჭირდება მუხლჩაუხრელი შრომა. სჭირდება საკმაოდ სოლიდური დაფინანსება და რაც ყველაზე მთავარია, სჭირდება ხელისუფლების ნება, რათა ქართული პროდუქტი არ „დაჩაგროს“ უფრო იაფი და საეჭვო ხარისხის მქონე იმპორტიულმა პროდუქტმა.

აი ამ საკითხებზე მინდოდა, გამემახვილებინა ყურადღება წერილში, მაგრამ როცა კიდევ ერთხელ გადავხედე გასული დღეების სატელევიზიო შოუებს, კითხვის ნიშანი მაშინვე ძახილის ნიშნით შევცვალე.

დიახ, სწორედაც რომ სატელევიზიო შოუებმა შემაცვლევინეს ჩემი წერილის პესიმისტური პათოსი და კიდევ ერთხელ დამარწმუნეს იმ ცნობილ ჭეშმარიტებაში, რომ სოფლის შენებას „კაი სიმღერის თქმასთან“ ერთად, „კაი სატელევიზიო შოუც“ სჭირდება.

ეს 2003 წლამდე იყო, რომ მხოლოდ „კაი სიმღერა“ აშენებდა სოფელს. დღეს კი სხვა რეალობის წინაშე ვდგავართ. სხვა პრიორიტეტებმა წამოიწია წინა პლანზე და ამიტომ დასავლური გამოცდილების გათვალისწინებით, „კაი სატელევიზიო შოუ“, სოფლის შენების აუცილებელ ნაწილად გადაიქცა.

მიუხედავად იმისა, რომ „სოფლის შენების“ ახალი პროცესი წელს „ვანოს შოუთი“ დაიწყო, მის შესახებ ბევრს არაფერს დავწერ.

უბრალოდ ვიტყვი, რომ ვანო ჯავახიშვილმა ნამდვილად ზუსტად განსაზღვრა სოფლის მეურნეობის „თინეიჯერი“ მინისტრის ცოდნა და გამოცდილება და მას სათამაშო სასოფლო ტექნიკა მისცა (ღმერთმა დაგვიფაროს და ნამდვილ ტრაქტორზე რომ დაჯდეს ბავშვი და რამე მოიწიოს, სად მიდიხარ მერე? ისე რა მაგისი პასუხია და ეკონომიკის მინისტრისთვის ერთი სათამაშო „მონოპოლია“ დაენანათ?ძ.

რაც შეეხება მეორე, უფრო „მასშტაბურ“, ანუ „გალა – შოუს“, ის ცხადია საქართველოს პრეზიდენტმა ჩაატარა.

მიხეილ სააკაშვილი 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს არც ეკონომიკის და არც სასჯელაღსრულების სამინისტროში არ მისულა. იგი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეწვია და ბაკურ კვეზერელს, სამინისტროს სტაჟიორებთან ერთად შეხვდა.

ამ შეხვედრით, მან რამდენიმე საკითხს გაუსვა ხაზი.

1. სოფლის მეურნეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განათლება, ან სპორტი.

2. ჩვენ უნდა დავივიწყოთ ის დღესასწაულები, რომლებიც ოდნავ მაინც გაგვახსენებს „ბნელ“, 2003 წლამდე არსებულ წლებს.

ის რომ, საქართველოს მთავრობა აგრარულ მთავრობად უნდა გადაიქცეს, მართლაც მშვენიერი ინიციატივაა, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, რომ რამდენიმე წინააღმდეგობამ მაინც იჩინოს თავი.

მაგალითისთვის გავიხსენებ თავდაცვის ყოფილ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს. თავდაცვის იმ მინისტრს, რომელსაც ქართული ღვინისთვის გასაღების ახალი ბაზრების მოძიება დაევალა.

თუ როგორ გადაიჭრა ქართული ღვინის გასაღების პრობლემა და რა ბედი ეწია თავად მინისტრს, ეს ყველამ კარგად ვიცით.

არის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი:

როგორ წარმოგიდგენიათ, შეძლებენ კი ბოსტნისა და პატარა გოჭუნების მოვლას, ჩვენი მშვენიერი მინისტრი ქალბატონები?

ვერაფერს გეტყვით. რაც არ ვიცი, არ ვიცი.

აქ შეიძლება ვინმემ მითხრას, რომ წინადადება „საქართველოს მთავრობის აგრარულ მთავრობად გადაქცევის“ შესახებ, გადატანითი მნიშვნელობით უნდა გაიგოო, მაგრამ ვიტყვი, რომ ამ ქვეყანაში, რასაც პრეზიდენტი ამბობს, ყველაფერი ზუსტად ისე სრულდება.



# პრეზიდენტის სოფლობანა კვეზერელთან ერთად...

## სოფლის შენებას რა უნდა!



ზუსტად ისე, როგორც მიხეილ სააკაშვილი ამბობს. ყოველგვარი კორექტივებისა და ქვეტექსტების გარეშე.

არადა რა კარგი სანახავები იქნებიან ჭრელთავსაფრებიანი და მკლავებდაკაპიწებული ჩვენი მინისტრი ქალბატონები.

„ჩარი რამას“ და „ყანები მოგვცა ზიარის“ გოგა ხაჩიძე იმღერებს, გილაური იცეკვებს და სოფელიც აშენდება.

ამ შეხვედრაზე, სააკაშვილმა მწუხარება გამოთქვა, რომ მთავრობამ ბევრი დრო დაკარგა და აღნიშნა, რომ გარკვეული პროგრამები დიდი ხნის წინათ უნდა დაწყებულიყო.

აბსოლუტურად ვეთანხმები!

ადრე იყვნენ ეგენი ყანაში გასაყრელები.

და მარტო მთავრობა კი არა, პარლამენტიც, ე.წ. ოპოზიციაც და მთელი უსაქმური ე.წ. სახელმწიფო აპარატი.

ადრე უნდა დაეკავებინათ ხელში ოროყიანი თოხები მიკროფონების ნაცვლად ყველა ზემოთ ჩამოთვლილ „მოღვაწეებს“ და დარწმუნებული ვარ, არავითარი „სურსათის ვაუჩერები“ საჭირო არ გახდებოდა.

სააკაშვილმა ასევე განუმარტა დასავლურ განათლებამიღებულ სტაჟიორებს, საქართველოს სახელში ჩადებული ძირითადი მნიშვნელობა.

„როგორც იცით, ბერძნულად საქართველო მიწათმოქმედების ქვეყანას ნიშნავს. ეს უნდა იყოს მთავრობა, რომელიც ხელახლა აქცევს საქართველოს მიწას იმად, რაც გამოკვებავს ქვეყანას და ასევე მიწა იქნება საქართველოს სიმდიდრის წყარო. შესაძლოა ცოტა უხეში შედარება იყოს, რომ ჩვენ ახლა გვჭირდება თქვენი სამინისტროს და მთელი მთავრობის ნამდვილ სამხედრო შტაბად ქცევა იმისათვის, რომ სასწრაფოდ მოხდეს სოფლის მეურნეობის, მოსავლიანობის, ნაყოფიერების ამაღლება“.

ჰოო, აქ კი ცოტა დავიბენი.

კი მაგრამ ტურიზმი და ყვარლის ტბაში მოლივლივე ბატები?

თხილამურები და ზღვა?

რა, უარს ვამბობთ ამ ყველაფერზე?

პრინციპში ინვესტორები ჩამოვლენ.

არა, კი არ ჩამოვლენ, პრეზიდენტი ჩამოიყვანს ამერიკიდან სადაც 10 მარტს ინვესტორებთან შესახვედრად გაფრინდება.

გაფორმდება რამდენიმე ხელშეკრულება დონალდ ტრამპთან და ეს ხელშეკრულებები „რთული ეკონომიკური კრიზისის პირობების დროს, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება“.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა, მართლა მაინტერესებს „რა უნდა სოფლის შენებას“?

**გია გაბრიჭიძე**

№ 44. ხუთშაბათი, 10 მარტი, 2011 წელი.

### ◉ ქართული ეკლესიის ისტორიიდან

**ახლახან ქართულ მასმედიაში გავრცელდა ცნობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე, აფხაზეთის მონახულებას აპირებსო. ეს თუ განხორციელდა, მართლაც საუკუნის ვიზიტი იქნება. ახლა ჩვენ გადავხედოთ ქართული და აფხაზური ეკლესიების არც თუ ისე შორეულ წარსულს. აქ მოკლედ შევეხებით გაბრიელ ქიქოძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.**



# გზა გაბრიელ ეპისკოპოსისა

ეს იყო პიროვნება, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება მთლიანად ქრისტეს სამსახურში გაატარა. პეტერბურგის სასულიერო აკადემიის წარმატებით დამთავრების შემდეგ ( 1849 წ.ძ, მას სამომავლოდ დიდი ასპარეზი ელოდა. სამწუხაროდ, ცხოვრებამ უმუხთლა, 1856 წელს მეუღლე და 5 მცირეწლოვანი შვილი მოკლე დროში დაეღუპა. ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა დამართოდა. მაშინ გადაწყვიტა მღვდელ-მონაზვნად კურთხევა. ასე დაიწყო ამ მეტად საინტერესო პიროვნების საეკლესიო მოღვაწეობა. გაბრიელ ქიქოძე დაიბადა 1825 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში. მისი კაპიტალური ნაშრომი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რუსეთის იმპერიაში დიდხანს სასკოლო სახელმძღვანელოდ იხმარებოდა. ის იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი და საპატიო წევრი.

გაბრიელ ქიქოძე 35 წლის მანძილზე 1860-1896 წლებში იყო იმერეთის ეპისკოპოსი. მას ექვემდებარებოდა აგრეთვე აფხაზეთისა და სამურზაყანოს ეპარქია. 1868 და 1869 წლებში გაბრიელ ქიქოძემ ორჯერ მოიარა აფხაზეთი. მისი საინტერესო ჩანაწერები გამოქვეყნდა გაზეთ „კავკაზში“ 1869 წელს №12-15. ეწვია გუდაუთას, ლიხნს, ხოფს, ანაკოფიას. სამურზაყანოში მოგზაურობისას მისი მასპინძელი იყო გრიგოლ შერვაშიძე. აფხაზეთის სოფლებში მის ქადაგებას ყოველთვის ბევრი ხალხი ესწრებოდა. როგორც კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ III აღნიშნავს: „მისიონერულ მოღვაწეობას ხელს უწყობდა მისი წარმოსადეგი გარეგნობა, მსუბუქი, მშვიდი, წმინდა მამობრივი მზერა; რბილი, მეტყველი, სულში ჩამწვდომი ხმა უხვად გადმოსჩქეფდა ყოველთვის მწყობრ ენერგიულ, საუბარში“. ილია ჭავჭავაძე კი მის შესახებ ასე წერდა: „საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი. თითოეული წამი მისი ცხოვრებისა – მოძღვრებაა, მაგალითია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის“.

გაბრიელ ეპისკოპოსი ხედავდა რა აფხაზთა ერთი ნაწილის მერყეობას ხან ქრისტეს სჯულისკენ, ხან ისლამისკენ, აფხაზეთში მთავარ ამოცანად ისახავდა ქრისტიანობის განმტკიცებას. მან აფხაზეთში მეორედ მოგზაურობისას 7 ახლად აგებული ეკლესია აკურთხა: ბალაკითში, აჩანდარაში, დურიფში, ხვანში, ჯირხვაში, მუზურხვა-აფიცხვაში და ზვანდრიფში. ამ სოფლებიდან მან 9-12 წლის ასაკის რამდენიმე ბავშვი შეარჩია და საკუთარი ხარჯით ქუთაისის სასწავლებელში მიაბარა.

გაბრიელ ეპისკოპოსი ადგილობრივ მოსახლეობას უხსნიდა, რომ მაჰმადიანობა მათთვის იყო გარედან თავსმოხვეული, რომ აფხაზურ მიწაზე არ არსებობდა მაჰმადიანური სალოცავები და არ ჰყავდათ მოლები. საერთოდ, გაბრიელ ქიქოძემ წლების მანძილზე ქადაგების გზით რამდენიმე ათასი აფხაზი დაუბრუნა ქრისტეს სჯულს.

საერთოდ, გაბრიელ ეპისკოპოსი აფხაზეთში ქრისტიანობის მოვლა-პატრონობას პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა, ამ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. მას ყურადღებიდან არ გამორჩენია აფხაზეთის მიმართ დიდი და ძლიერი სახელმწიფოების ყურადღებაც. გაბრიელ ეპისკოპოსის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს საეპისკოპოსოს დაფუძნება. მას რა თქმა უნდა, სამომავლოდ დიდი პერსპექტივა ელოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლებამ გამიზნულად 1885 წელს აფხაზეთი იმერეთის საეპისკოპოსოს სრულიად ჩამოაშორა და სტავროპოლს მიუერთა. ასე მოაცილა მაშინ რუსეთის მეფის ხელისუფლებამ აფხაზეთი და აფხაზი ხალხი ქართულ სულიერ სამყაროს. შემდეგ რაც მოხდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ყველასათვის ნათელია. ფაქტი კი ერთია; რუსეთი აფხაზეთს დიდი ხანია ეშმაკის თვალით რომ უყურებდა, ეს მხედველობიდან არ უნდა გამორჩენოდა არც ერთ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელთაც ლომის წილი მიუძღვით ამ ძირძველი ქართული ისტორიული მიწა-წყლის დაკარგვაში.

**დურმიშხან ცინცაძე**

### ◉ პატივმიგება

## ეროვნული გმირის ხსოვნას მიეძღვნა



**საქართველოს ეროვნულ გმირს ჟიული შარტავას 7 მარტს 67 წელი შეუსრულდებოდა.**

**ამ თარიღთან დაკავშირებით სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა ღონისძიებები. ქალაქის სკოლებში გაიმართა ღია გაკვეთილები, წარმოადგინეს ლიტერატურული მონტაჟები და ა. შ.**

**7 მარტს მუნიციპალიტეტის ყველა სასწავლო დაწესებულებაში გაკვეთილები წუთიერი დუმილით დაიწყო...**

**მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, ქალაქის ცენტრში, ჟიული შარტავას ბიუსტთან, თავი მოიყარეს სენაკის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, ინტელიგენციამ, მოსწავლე ახალგაზრდობამ და ყვავილებით შეამკეს იგი.**

**იოსებ გოგეჩია,**
„სრ“ საკ. კორ. ქ . სენაკი

### ◉ „სათუთი და საჩოთირო საკითხი“

# „ჰაიტ, თქვე წითელო პროფესორებო!“

**აი, უკვე 55 წელი გავიდა ავად მოსაგონებელი 9 მარტიდან, როცა ათეულობით უდანაშაულო ქართველი დაიღუპა თბილისში. რუსეთის არმიის სპეციალურად გაწვრთნილმა ჯარისკაცებმა სისხლის ღვარი დააყენეს ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში. მე ამ ამბების არაპირდაპირი მონაწილე გახლავართ და მიმაჩნია, რომ სრული მორალური უფლება მაქვს ვილაპარაკო ამ თემაზე.**

მაშინ ორთოდოქსული მარქსიზმის მიმდევარი ვიყავი და აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის პარტორგანიზაციას ვხელმძღვანელობდი. ხელისუფლება შეეცადა თბილისში მომხდარი ამბავი მიეფუჩეჩებინა. მაშინდელ მედიაში არც ერთი სიტყვა არ თქმულა ამ სისხლიან მოვლენაზე. დაახლოებით 10 დღეში კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაიწყო რაიონებში პარტაქტივის კრებების ჩატარება. ასეთი კრება ადიგენის რაიონშიც ჩატარდა. მე მიმიწვიეს ამ კრებაზე და პრეზიდიუმშიც დამსვეს, მაგრამ ჩემი გამოსვლა დაგეგმილი არ ჰქონდათ (გაფრთხილებული არ ვიყავი!ძ. კრებაზე ძირითადი სიტყვით გამოვიდა პარტიის ცეკას წარმომადგენელი (გვარი არ მახსოვსძ, რომლის ნათქვამის დედაზრი ის იყო, რომ თბილისში მომხდარი „უსიამოვნო ამბები“, თითქოს, ჩვენი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დაბალი დონით იყო გამოწვეული. მე სასწრაფოდ მოკლე ბარათი დავწერე და კრების წამყვანს, რაიკომის პირველ მდივანს ხვედელიანს გადავაწოდე. ვთხოვდი ჩემთვისაც მიეცათ სიტყვა. მან პასუხი შემიგვიანა. „ცეკას კაცმა“ რომ სიტყვა დაამთავრა და ადგილზე დაჯდა, მას რაიკომის მდივანმა რაღაც გადაუჩურჩულა (ეტყობა ნებართვა აიღოძ და ცოტა ხნის შემდეგ თავის დაქნევით მანიშნა თანხმობა.

ჩემი ჯერი რომ მოვიდა, ვთქვი, რომ მე ერთ-ერთი აგიტატორი ვარ, მაგრამ ვერ გავიგე რაში გამოიხატება ჩემი „დაბალი დონე“. მომხსენებელს არ დაუსახელებია დაღუპულთა რაოდენობა, ხალხში კი ათასნაირი ჭორ-სიმართლე დადის: ზოგი ამბობს ათობით ადამიანი დაიღუპაო, ზოგიც ასობითო. მე რომ ობსერვატორიაში დავბრუნდები, რა ვუთხრა ჩემს თანამშრომლებს, რომელია მართალი?

დარბაზი გაიტრუნა, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს. არც მომხსენებელმა მიპასუხა რამე. სამაგიეროდ სხდომის დამთავრებისთანავე რაიონის უშიშროების უფროსმა ბ. ცეცხლაძემ მიმიწვია თავისთან და პირდაპირ მითხრა: „შენ მაგარი გული გქონია, ძამია“-ო. შემდეგ, ცოდვას ვერ ვიტყვი, მეგობრულად დამარიგა, რად გინდა ეგეთი რამეების თქმა, ჯობია შენს ოჯახს მიხედოო.

დარწმუნებული ვარ თბილისში, თავის უფროსებთან, ცოტა სხვანაირი შინაარსის წერილ-ანგარიშს გააგზავნიდა ბატონი ბიჭიკო! სწორედ ამიტომ, მოუთმენლად ველოდები ჩვენი პარლამენტის მიერ ლუსტრაციის კანონის მიღებას. ვშიშობ, ღრმად მოხუცებულ კაცს, „იმ ქვეყანაში“ არ მომიხდეს ჩემი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება!

ახლა, ჩემო მკითხველო, ერთი მეტად სათუთი და საჩოთირო საკითხის გარკვევა მინდა შენთან ერთად. ადიგენში ჩატარებულ კრებას ობსერვატორიის დირექტორი ბატონი ევგენი ხარაძე, მივლინებაში ყოფნის გამო, არ ესწრებოდა. მხოლოდ ობსერვატორიაში მისი დაბრუნების შემდეგ შედგა ჩვენი საუბარი. ადიგენში ჩემი გამოსვლის შესახებ რომ შეიტყო, ჩემდა გასაოცრად, ასეთი რამ მითხრა: „ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერები ვართ და არა პარტიული მუშაკები. ფრთხილად იყავი, შეიძლება ეგ ამბავი როდისმე გაგიხსენონ კიდეც“.

შემდეგ ისე მოხდა, რომ ჩემი ნების საწინააღმდეგოდ (ეს ცალკე სალაპარაკო თემაა!ძ, მე ბატონი ევგენის მოადგილედ (სამეცნიერო დარგშიძ ვმუშაობდი 35 წლის განმავლობაში. ამ პერიოდში მართლაც მქონია შემთხვევები, როცა მიხსენებდნენ ჩემს „დანაშაულს“. ერთ მაგალითს მოვიყვან მხოლოდ.

1961 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში, ასტრონომთა საერთაშორისო ყრილობაზე უნდა წავსულიყავი მეუღლესთან ერთად, ოღონდ საკუთარი სახსრებით. თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა. ამერიკიდანაც კი მივიღეთ შეტყობინება ჩვენთვის სასტუმროს დაჯავშნის შესახებ, მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, დაგეგმილ გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, შემატყობინეს, რომ ჩემი მეუღლე ამოღებულია წამსვლელთა სიიდან! მე ახალი „დანაშაული“ ჩავიდინე, პროტესტის ნიშნად უარი ვთქვი აშშ-ში წასვლაზე. ეს ხელისუფლების შეურაცხყოფად ჩამითვალეს. მოსკოვიდანაც კი, ასტრონომიული საბჭოდან, დამირეკეს. მითხრეს, რომ ჩემი პროტესტით „უხერხულ მდგომარეობაში“ ჩავაყენე სათანადო ორგანოები და მთხოვეს აზრი შემეცვალა. მე გადაწყვეტილება არ შემიცვლია. რაც შეეხება ბატონ ევგენის, მან სინანული გამოთქვა მომხდარის გამო და გადაკვრით მაგრძნობინა, რომ ეს იყო ერთ-ერთი „გახსენება“ ადიგენში ჩადენილი ჩემი საქციელის გამო.

აი, ახლა, დადგა დრო ვისაუბროთ ზემოთ აღნიშნული „სათუთი და საჩოთირო“ საკითხის შესახებ. ბუნებრივად ისმება კითხვა: როგორ ეგუებოდნენ საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებანი, მაღალი ზნეობისა და კრისტალური პატიოსნების მქონე ადამიანები (მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, პედაგოგები, სხვანი და სხვანიძ იმ სულისშემხუთველ წყობილებას, 70 წლის განმავლობაში რომ არსებობდა დედამიწის ტერიტორიის ერთ მეექვსედზე? რა იყო ეს? ბატონ ევგენისთან ჩემი სამსახურებრივი და პირადი ურთიერთობის ხანგრძლივმა პერიოდმა (55 წელიწადიძ დამარწმუნა, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, იყო ამ ადამიანთა თავიანთი პროფესიის, იმ საქმის უსაზღვრო სიყვარული, რასაც მიუძღვნეს თავიანთი ნიჭი, ენერგია, სიახლისადმი დაუოკებელი სწრაფვა... მთელი სიცოცხლე! სხვანაირად ჩვენ არ გვეყოლებოდნენ ნიკოლოზ მუსხელიშვილი და ივანე ბერიტაშვილი – თავიანთი მეცნიერული სკოლებით, ევგენი ხარაძე – თავისი პირმშო აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიით, დიდი გალაკტიონი – თავისი „მთაწმინდის მთვარით“, კონსტანტინე გამსახურდია – თავისი „მთვარის მოტაცებით“, კახი კავსაძე – თავისი ბრწყინვალედ შესრულებული როლებით და სხვა მრავალი, ქართველი ხალხის სასიქადულო შვილი. ყველა ისინი „ლოიალურ“ დამოკიდებულებაში იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან (ამ დღეებში შევიტყვე – ბატონი კახი რუსთაველის თეატრის პარტკომიც კი ყოფილა, თურმე, ერთ დროს!ძ.



დაბოლოს, მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას. ზოგჯერ წაიკითხავთ ან გაიგონებთ თანამედროვე ახალგაზრდების მიერ უფროსი თაობის მეცნიერთა თუ სხვა მოღვაწეთა მისამართით წარმოთქმულ სიტყვებს, რომელთა შინაარსი, დაახლოებით, ასეთი ფორმულით შეიძლება გამოიხატოს: „ჰაიტ, თქვე წითელო პროფესორებო!“ აქ საბჭოთა ხელისუფლებისადმი ამ ადამიანთა კონიუნქტურული დამოკიდებულება იგულისხმება, ცხადია. მე სრულებითაც არ ვაპირებ ვამტკიცო, რომ არც ერთი მაშინდელი მოღვაწე არ იყო თვითგადარჩენით შეპყრობილი შემგუებელი არსება. რასაკვირველია, ასეთებიც ბლომად მოიძებნებოდნენ, მაგრამ, ძირითადად, ისინი გახლდნენ ნიჭიერი, პატიოსანი, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანები და თავიანთი „შემგუებლობით“ ბევრი რამ გააკეთეს როგორც საერთოდ მეცნიერებისა და კულტურისათვის, ისე, კერძოდ, დედასამშობლოსათვის.

**ვიქტორ ჯაფიაშვილი,**
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გლობუსი

**„მე ქართველი ვარ, მაშასადამე სინგაპურელი ვარ“ – ამ სიტყვების ნახევარი ქვეყნის დღევანდელი მმართველის სააკაშვილის პოლიტიკურ ნათლიას, ჟვანიას ეკუთვნის, წარმოთქმულს ევროსაბჭოში საქართველოს მიღების ცერემონიალზე. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ნაციონალური ხელისუფლება ასე იოლად შეელეოდა მყვირალა ლოზუნგს და ევროპას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქალაქი-სახელმწიფო სინგაპურით ჩაანაცვლებდა.**

საქართველოს ხელისუფალთა პოლიტიკურ-ეკონომიკური ორიენტაცია შუაგულ ოკეანეში მოფარფატე, უკომპასო გემს ჰგავს, რომელმაც არ იცის, რომელ ნავსაყუდელს შეაფაროს თავი, დაბნეული ხან აშშ-სკენ, ხან ევროპისკენ, ხან მეზობელი თურქეთისკენ იყურება. ამჯერად სინგაპურისკენ გაიხედა და მერე როგორ. ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, ცხრა მთა და ბარი გადავიარეთ, ზღვებიც და ოკეანეებიც გავცურეთ და როგორც იქნა ჩვენს მსგავს ქვეყანას მივადექით, ისეთს გაოცებულ კანონმდებელ პალიკოს რომ ათქმევინა – რა მაგრა ვგავართ ერთმანეთსო. კუბლაშვილის აღმოჩენამ უმალ სარკეში ჩამახედა – თვალები ხომ არ დამწვრილებია-მეთქი.

მაგრამ არა, თითქმის ჩინური სინგაპური (იქ მოსახლეობის 70 პროცენტი ჩინელია) გარეგნულად „ოდნავ“ განსხვავდება ჩვენგან, მაგრამ საქმით (პალიკო-ვერიკოს აღმოჩენაძ) უდავოდ ვგავართ ერთმანეთს და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვგავართ საკუთარი ნავთობისა და გაზის დეფიციტით. რომ ვგავართ, იმიტომ მიგავლინათ მიშიკომ თქვენ და ვერიკო სინგაპურული ცხოვრების გადმოსაღებად. ქართველებს ოდითგანვე მოგვდგამს ნათესავების ასობით კილომეტრზე ძებნა. მარტო ბასკებთან ქართველების ისტორიული იდენტურობის ჩხრეკა რად ღირს. მაგრამ მიშიკოს, ვერიკოს და პალიკოს აღმოჩენამ ყველას გადაუჯოკრა. სინგაპურს არც გაზი აქვს და არც ნავთობი, ისე, როგორც ჩვენო, მაგრამ კარგად ცხოვრობსო. ჩვენსავითო, აღარ დაუმატებია კანონმდებელს, არადა სააკაშვილს, მის ხელისუფლებას და მის ტელევიზიებს თუ დავუჯერებთ – ჩვენც კარგად ვცხოვრობთ, ეკონომიკური მატებაც გვაქვს, ამერიკელებიც გვაქებენ, კორუფციაც ბეჭებზე დავეცით, რეფორმებსაც წარმატებით ვახორციელებთ, უცხოეთში ლუკმაპურის საშოვნელად გაფანტული ქართველობაც კისრისტეხით მორბის უკან და სხვა; მაგრამ ხელისუფლებას უფრო ლამაზი საქართველო უნდა. „ხომ ლამაზია ეს ჩემი მხარე, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“-ს პრინციპიდან გამომდინარე.

იმიტომაც აფრინა დელეგაცია მიშიკომ სინგაპურში. იქაური ცხოვრების გაზიარება წაადგება საქართველოს – ასე ფიქრობს ის. შეიძლება თუ არა საქართველოს სინგაპურად გადაქცევა? ცხადია შეიძლება, თუ ქართველებს სინგაპურში გადავასახლებთ, ხოლო იქაურებს – საქართველოში, ანუ ჩეინჯის შემთხვევაში. რაც მართალია, ამ მარტივი გაცვლით საქართველო რომ აყვავდება, უეჭველია, მაგრამ რა დღეში ჩავარდება სინგაპური – ამის გამოცნობა თქვენთვის მომინდვია.

მაინც რა საერთო გვაქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქალაქ-სახელმწიფოსთან? დაძაბული კვლევა-ძიების მიუხედავად – არაფერი.

რესპუბლიკა სინგაპური მდებარეობს იმავე დასახელების კუნძულზე. მისი ტერიტორია 0.6 ათას კვ. კილომეტრს შეადგენს, მოსახლეობა თითქმის 5 მილიონს. ქვეყანაში ცხოვრობენ ჩინელები, ინდოელები, მალაელები, სხვა ერების წარმომადგენლები, მათ შორის სომხებიც. სინგაპურის ღირსშესანიშნაობათა ბუკლეტებში საპატიო ადგილი უკავია სომხურ ეკლესიას. ქვეყნის ოფიციალურ ენებად ითვლება ჩინური, მალაური, ტამილური, ინგლისური. **ქვეყნის ყველა ერს აქვს საკუთარი კულტურა, ადათ-წესები, ისინი თავს მრავალრიცხოვან ჩინელებთან შედარებით შევიწროებულადაც არ თვლიან. სინგაპური მათი სამშობლოა, რისთვისაც ისინი თავდადებით შრომობენ. ყველაზე დიდი განსხვავება სინგაპურელსა და ქართველს შორის სწორედ ისაა, რომ სამშობლოს სიყვარული იქ მაღალ დონეზეა, ჩვენში, რახანია სამშობლოზე ლაპარაკი „გოიმობად“ არის მიჩნეული.** მე-7 საუკუნიდან ხდება ცნობილი სინგაპურის არსებობა. ჯერ იყო და ინდონეზიის გავლენის ქვეშ მოიაზრებოდა, შემდეგ – პორტუგალიის, შემდეგ – ჰოლანდიის (XVII საუკუნეძ, 1824 წლიდან – ინგლისის, რაც 1942-45 წლებში იაპონიამ შეცვალა. 1963 წელს სინგაპური ახლადშექმნილი მალაიზიის ფედერაციაში შევიდა, ხოლო ორი წლის შემდეგ დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება. სინგაპური საპარლამენტო რესპუბლიკაა. პარლამენტი აირჩევა 5 წლის ვადით. თვით პარლამენტი ირჩევს პრეზიდენტს ოთხი წლით. პრეზიდენტი თავის მხრივ ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, სხვა მინისტრებს. მთავარი ძალაუფლება პრემიერ-მინისტრის ხელშია მოქცეული. რომ იტყვიან ქვეყანას გაუმართლაო, სინგაპურზეა ნათქვამი: გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ქვეყანას პრემიერ-მინისტრად მოევლინა პრაგმატული აზროვნების რეფორმატორი ლი კუან იუ. თითქმის 25 წლის განმავლობაში ეკავა მას ეს პოსტი. ამ ხნის მანძილზე ჩამორჩენილი, ჭუჭყიანტალახიანი სინგაპური მოწინავე ქვეყნად იქცა. წიაღისეულის არქონას ხელი არ შეუშლია ამ ქვეყნის განვითარებისათვის.

მეორე და მე, ვიტყოდი, არცთუ უმნიშვნელო განსხვავება ჩვენსა და სინგაპურს შორის არის ჭკუა, რაციონალური, პრაქტიკული აზროვნება, ეს ყველაფერი უხვადაა იქ, აქ კი დიდი დეფიციტია. დღიდან დამოუკიდებლობის მოპოვებისა სინგაპურმა გამოაცხადა მიუმხრობლობის პოლიტიკა. ეს ქვეყანა არავის ექიშპება, მათ შორის არც მეზობელ მალაიზიას, ის არავის მიმართ არ ქსოვს ავანტიურისტულ გეგმებს, როგორც საქართველო. სინგაპური აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების ასოციაციის წევრია. სინგაპური არ ცდილობს ხელოვნური გზით გამოირჩეოდეს სხვებისგან. **სინგაპური ყოველგვარი ყოყოჩობის გარეშე, რაც სააკაშვილის ხელისუფლების სარეკლამო ბრენდია, აშენებს ქვეყანას, რომელიც ყველა პარამეტრით – ეკონომიკურით, სოციალურით, სამართლებრივით და სხვა, გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე სხვები. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების თვალსაზრისით ამ ქვეყანას მსოფლიოში მოწინავე პოზიციები უკავია. ქვეყანაში ვერ დალანდავ მათხოვარს, ნაგვის ყუთში მაძებარ ხალხს, ღარიბსა და მდიდარს შორის ისეთ უფსკრულს, რასაც აქ აქვს ადგილი. ამ ქვეყანაში ყველას აქვს ბინა ან სახლი. სინგაპურში კანონი კანონობს.**

# მართლაც ასე ვგავართ სინგაპურს?



**ის არ არის მორგებული ხელისუფლებაზე. კანონი ეხება ყველას – ხელისუფალსაც და რიგითსაც. ამით სინგაპური მკვეთრად განსხვავდება ჩვენგან. და არა მარტო ამით. სინგაპურში არავინ იფიქრებს ბიუჯეტიდან თანხის მითვისებას, ნათესავ-მეგობრებიდან ბიზნესის წრის ჩამოყალიბებას, ბიზნესის სისტემატურ რეკეტს, საკუთარი ჯიბისთვის ფულის გასაკეთებლად არავისთვის საჭირო ძვირადღირებული პროექტების განხორციელებას.**

**სინგაპურის ხელისუფლება არ იკადრებს და თუ იკადრა, არ აკადრებინებენ უცხოეთში ვალად აღებული ფულით (მილიონებით) უფუნქციო ხიდების გადებას, ავტოტრანსპორტის საცობებიდან თავის დაღწევის მიზნით უფრო მეტი საცობების შექმნას, ხელით განაშენებული პარკის გაჩეხვას და იქ უცხო ქვეყნების საელჩოების და საცხოვრებელი სახლების აშენებას (ვაკის პარკი). სინგაპურელს უმალ ჰარაკირი მოუნდებოდა ვინემ მდინარე ვერეს უნიკალური ხეობის დაყრუება და მის ნაცვლად უპერსპექტივო გზის გაკეთება. სინგაპური თვალის ჩინივით უფრთხილდება ერთ გოჯ მიწასაც და არათუ უფრთხილდება, არამედ ზღვას ტაცებს მას და ზღვისგან გამოგლეჯილ ტერიტორიებზე სახლებს, პარკებს, გასართობ ცენტრებს აშენებს.** ამ გზით არის გაშენებული სინგაპურული საფარი. ჯუნგლები, უნიკალური ჯიშის გარეული ცხოველებით. სინგაპურის საფარი სამაგალითოა მსოფლიოში. სინგაპური ის იშვიათი ქვეყანაა, სადაც ქუჩაში ვერ ნახავთ სიგარეტის ნამწვავს, ფურთხს, საღეჭ რეზინას, ნაგავს, ტალახს, მტვერს, რაც უხვადაა თბილისში. მკაცრია მიდგომა დამნაგვიანებელთა მიმართ – ჯარიმის სახით 500 სინგაპურული დოლარი. მოყვანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს, როგორ „ვგავართ“ სინგაპურს.

მქონდა ბედნიერება გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში პირველად ვწვეოდი ამ ქვეყანას. ეს იყო რეფორმების დასაწყისი. ჩემი ყურადღება მიიპყრო 24-საათიანმა სამუშაო რეჟიმმა, მშენებლობამ. მას შემდეგ, სხვადასხვა პერიოდში კიდევ სამჯერ მომიხდა იქ ყოფნა და შრომის ასეთი ტემპი არ შეცვლილა. ჩინელთა თავდადებული შრომა ცნობილია მთელს მსოფლიოში, რასაც ქართველებზე ვერ ვიტყვით. მოქნილმა კანონებმა, სინგაპურულმა პატიოსნებამ თავისთავად გამორიცხა ერთმანეთის მოტყუება, გადაგდება, მკვლელობა, უხარისხო ან ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოება. ამ „სიკეთეებს“ აქ უხვად აქვს ადგილი. სინგაპურში უცხოა ერთჯერადი გზები, გზებზე ორმოები, მიტოვებული მშენებლობები. სინგაპურის ხელისუფლება თავს უფლებას არ მისცემს, დაინიშნოს სხვაზე ათჯერ და ასჯერ მეტი ხელფასით, მისთვის მიუღებელია ისეთი დამოკიდებულება სახელმწიფო ქონებისადმი, როგორსაც საქართველოს სამინისტროებში აქვს ადგილი, მაგ. ეკონომიკის სამინისტროში. გაეცანით გასული კვირის გაზეთს „საქართველოს და მსოფლიოს“ და დარწმუნდებით იმ ავაზაკობაში, რასაც იქ აქვს ადგილი. მარტო ყავის სმაში დახარჯული 120 000 ლარი რად ღირს, ან მინისტრის ძოლგის შესაძენად დახარჯული 342 ლარი. ძვირფასო ამერიკელო პარტნიორებო, მოგწონთ ასეთი ხელისუფლება? რით ჩამოუვარდება ის არაბული სახელმწიფოების დამხობილ მმართველებს? თქვენი ტუნისელი ელჩი არ იყო, რომ გატყობინებდათ, სადილისთვის პრეზიდენტის ნათესავმა საფრანგეთიდან საკუთარი თვითმფრინავით ნაყინი ჩამოატანინაო? აშკარაა, რომ მოგწონთ, ვინაიდან საქებარ სიტყვებს არ იშურებთ, რითაც თავსაც იტყუებთ და ჩვენს მოტყუებასაც ცდილობთ! დანგრეული გერმანიის ამღორძინებელი კანცლერი ადენაუერი ისე წავიდა პრემიერობიდან გაქუცული, ფერგადასული პორტფელი არ გამოუცვლია, სტალინს კი – გაცვეთილი ფეხსაცმელი.

სინგაპურმა გონივრულად გამოიყენა გეოგრაფიული მდებარეობა და აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის სატრანზიტო ცენტრად იქცა. სინგაპურის პორტი უდიდესია მსოფლიოში, განსაკუთრებით – ტვირთბრუნვით. სინგაპურის პორტში არემონტებენ გემებს, ახლებსაც აშენებენ. სინგაპურის აეროპორტი უმსხვილესია მსოფლიოში. ვისი ქვეყნის თვითმფრინავები არ ეშვება აქ, როგორც საწვავის შესავსებად, ისე სხვა მიზნებისთვის. თვით სინგაპურის ავიაკომპანია მომსახურების თვალსაზრისით საუკეთესოა მსოფლიოში. სინგაპური სამოთხეა კრუიზში მყოფი ტურისტებისთვის. ქვეყანა სავსეა სხვადასხვა დონის სასტუმროებით. სინგაპურელთა მომსახურება ცნობილია მთელს მსოფლიოში. სინგაპური მსოფლიოს საფინანსო ცენტრია, განვითარებული, მეტად დახვეწილი საბანკო სისტემით ქვეყნის ნავთობგადასამუშავებელ ქარხნებში დამზადებული ბენზინის, ნავთობპროდუქტების მომხმარებელი ქვეყნები კმაყოფილია მაღალხარისხოვანი პროდუქციით. სინგაპური ცნობილია ელექტრონული საქონლით, ოპტიკით, ნიანგის ტყავით, კაუჩუკით. ეს ქვეყანა წარმატებით მუშაობს რეექსპორტზე.

სინგაპური თავისუფალი ეკონომიკური ზონაა. სამოცდაათიან წლებში სინგაპურში ათასობით ამერიკელი ჩადიოდა საკუთარი პროდუქციის იაფად შესაძენად. სინგაპურში მიუღებელია ელიტარული კორუფცია, რითაც ყვავის საქართველო. სინგაპურელი თავდადებით ილვწის საკუთარი თავის, საკუთარი ოჯახის, საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისათვის, თანახმად გონივრული კანონებისა და დაუწერელი წესებისა. მისთვის მიუღებელია ქვეყნისადმი, საქმისადმი, მოქალაქისადმი ისეთი დამოკიდებულება, რასაც აქ აქვს ადგილი. სინგაპურელისათვის უცხოა **გაბღენძილი ქართველი, კისრის მობრუნება რომ ეზარება, თეძოებსავსე ახალგაზრდა მოხელეები, ცხოვრების დევიზად საკუთარი ბედნიერების გამოჭედვა, რომ გადაუწყვეტიათ – კანონდარღვევით, საკუთარი ქვეყნის ხარჯზე.**

**საქართველოს სინგაპურიზაცია ისეთივე ბლეფია, როგორც ქართველის თვალების დაწვრილება. ეს კარგად იცის ამ ხელისუფლებამ, მაგრამ გარკვეული პერიოდით ამ თემით გვაფიქრებინებს, თვითონ კი ათასჯერ გაემგზავრება შორეულ სამოთხეში დროის სატარებლად. გიხაროდენ! ხელისუფლების სალაღობოდ ახალი მარშრუტი იხსნება – თბილისი-სინგაპური. ახლოს მაინც იყოს ეს დალოცვილი. მარტო მგზავრობის ხარჯები ათეულ ათასობით საბიუჯეტო თანხას წაილებს.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ეკონომიკა

# რა სიკეთეს მოგვიტანს თავისუფალი ინდუსტრიული ზონა?

**1978 წელს ჩინეთის ხელისუფლებაში მოვიდა კომუნისტი დენ სიაოპინი, კულტურული რევოლუციის მიერ შერისხული და დაიწყო ქვეყნის „ინკოგნიტო“ მართვა. დენ სიაოპინი რეფორმების სტიმულატორი გახდა, რომელმაც იწინასწარმეტყველა, რომ 30 წლის შემდეგ ჩინეთი გადაიქცეოდა მძლავრ ქვეყნად, რაც მთავარია, შეიქმნებოდა საშუალო ფენა. „არა აქვს მნიშვნელობა, რა ფერის არის კატა, მთავარია თაგვი დაიჭიროსო“ და კომუნისტურმა ჩინეთმა, სადაც დღესაც კანონი სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, კაპიტალისტური ელემენტები შეირწყა. წინასწარმეტყველება ახდა! დაიწყო ნახტომი ეკონომიკაში. და თუ ხუთი წლის წინათ მას**

## ჩინური შენჯენი თუ ინდური კანდლა?

**მსოფლიოს მეხუთე ყველაზე დიდი ეკონომიკა ჰქონდა, უკან ჩამოიტოვა გერმანია, იაპონია... დღეს მას მხოლოდ აშშ უსწრებს.**

**წარმატება ეკონომიკაში ჩინეთს ძირითადად თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნამ მოუტანა. იდეა მისაბაძი და მომხიბვლელია, მაგრამ შეიძლება თუ არა სარგებელი მოუტანოს იმავე მიდგომამ საქართველოს? – პასუხი არაერთგვაროვანია.**

ზოგადად თავისუფალი ეკონომიკური ზონის არსის შესახებ ვრცელ ანალიზს აკეთებს დემოკრატიისა და ბიზნესის განვითარების ინსტიტუტის პრეზიდენტი **ოთარ ანგურიძე: „თავისუფალი ეკონომიკური ზონები სხვა დანარჩენი ტერიტორიისგან იმით გამოირჩევიან, რომ აქ მოქმედებს შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი, რაც იზიდავს ინვესტორს. გადასახადებისგან თავის არიდების სურვილი ძველთაგანვე შეიმჩნეოდა. IV საუკუნეში თავისუფალი ვაჭრობის ცენტრი იყო საბერძნეთში, კუნძული დელოსი. XVIII საუკუნეში ევროპელებისთვის ამერიკა იქცა თავისუფალ ზონად. ასეთი ზონები გაჩნდენ ჰიბრალტარსა და ბანკოკში. XIX საუკუნეში თავისუფალი პორტების სახელები მიიღეს ოდესამ, ვლადივოსტოკმა, მათ შორის ბათუმმაც (1878-1885 წ.წ.)“.**

ანუ 1992 წლიდან აკვიატებული იდეა – საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ, საუკუნით ადრე უკვე არსებობდა. ზოგადად განვითარებადი ქვეყნები დიდ ყურადღებას უთმობენ ასეთი ეკონომიკური ზონების შექმნას.

იხ. 7 გვ.

ეი, ვინ მოდის „დაბურულიდან?“

# ბურების მეორე ვოიაჟი ცხრა ზღვას იქით



**ქვეყანაში ამდენი უმუშევარი და დაუსაქმებელი გლეხი იყოს, ელემენტარული პირობების უქონლობისა და უსახსრობის გამო ამოდენა მიწა ტყუილად ცდებოდეს, ხელისუფლება კი გადამთიელებს ეპატიჟებოდეს — მოდით, დასახლდით, იშრომეთ და იხეირეთო — მსგავსი რამ არათუ ჩვენს დროში, ვგონებ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არც ერთ ეპოქაში არ მომხდარა.**

მაგრამ რისი ქართველები ვართ, საკუთარს თუ არ მოვუღეთ ბოლო, უცხოს კი ხელის გულზე ერბოკვერცხი არ შევუწვით. ჰოდა, ახლა, მას შემდეგ, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ტყის კორომები, ზღვის სანაპიროზე საუკეთესო ადგილები, ტბები და მდინარეები, საჯიშე ცხვარი და ათასი სხვა რამ (მაგალითად, წყლით, გაზით და ელექტროენერგიით მოსახლეობის მომარაგებაც) რუსებს, ჩინელებს, არაბებს, ყაზახებსა და ვინ მოთვლის კიდევ რამდენ ვინმეს მივყიდეთ, ჯერი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სამხრეთაფრიკელი ბურებისთვის მიყიდვაზე მიდგა, რომლებიც, როგორც ჩანს, „იქ“ მაინცდამაინც თავს კომფორტულად ვერ გრძნობენ, ამიტომ თვალი ისევ ევროპისკენ უჭირავთ. აქ კი ჩვენ დავხვდით, მობრძანდით, ბატონო, რას ინებებთო. არადა, ჯერ სადა ვართ...

რამდენიმე ხნის წინათ, ბურების საქართველოში გადმოსახლებასთან დაკავშირებით, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაპუნა დავითაიამ სამხრეთ აფრიკის აგრარულ კავშირთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი. იმის გამო, რომ კონკრეტულ ტექსტს არ აქვეყნებენ და „ქათმის კურკლივით“ მალავენ (ენგურჰესის თაობაზე რუსეთთან ხელმოწერილი მემორანდუმის სიკეთისა არ იყოს!), მეტ-ნაკლები სიზუსტით ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ **საქართველოს მთავრობა ბურებს აფრიკიდან ჩვენს ქვეყანაში თავიანთი საქმიანობის გადმოტანას სთავაზობს, ამასთან, პირობის თანახმად, ბურებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციები უნდა განახორციელონ.**

ბურების ერთი ჯგუფი საქართველოში ორი თვის წინათ, იანვრის შუა რიცხვებში იმყოფებოდა, პირველი კი შარშან შემოდგომაზე გვეწვია და ამ ვიზიტის ფარგლებში ისინი საქართველოს პრეზიდენტს, მის მეუღლეს ქალბატონ სანდრა რულოვსს, აგრეთვე მთავრობის რამდენიმე მაღალჩინოსანს შეხვდნენ.

— ჰოლანდიური, ბრიტანული და ფრანგული წარმოშობის ფერმერებს, რომლებიც საქართველოში სამხრეთ აფრიკიდან ჩამოვლენ, ქვეყანაში მრავალი სამუშაო ადგილის შექმნა შეუძლიათ ეკონომიკის საკმაოდ დიდ სეგმენტში, რაც ბიუჯეტისთვის დიდად მომგებიანი იქნება. ეს ხალხი ამჟამად თავიანთი აგრარული ბიზნესის დივერსიფიკაციის გზებს ეძებს, ევროპისა და აზიის დიდ ბაზრებთან უფრო ახლოს გადმოსვლა სურთ, ამდენად კარგი იქნება, თუკი თავიანთ მეურნეობებს საქართველოში გადმოიტანენ, — განაცხადა მაშინ პაპუნა დავითაიამ.

მინისტრმა კი თქვა ასე, მაგრამ იქნებ ვნახოთ, რა იმალება ამ ერთი შეხედვით „დავარცხნილ“ სიტყვებს მიღმა. არავის ეგონოს, რომ ჰოლანდიური, ბრიტანული, ფრანგული, ანდა წარმომავლობით რომელიც გნებავთ იმ კუთხის ფერმერის საწინააღმდეგო მქონდეს რამე, მაგრამ **მათ მიერ საქართველოში „მრავალი სამუშაო ადგილის“ შექმნა იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არა მიწის მეპატრონე, არამედ დაქირავებული მუშა იქნება; მეორე, რაც გარკვეულ ეჭვს ბადებს მინისტრის გულწრფელობაში, ესაა „ევროპისა და აზიის დიდ ბაზრებთან ახლოს ყოფნის“ თაობაზე ბურების სურვილი. კი, მაგრამ ამდენი ხანი დედამიწის მეორე ნახევარსფეროში წასულებს ეს სადარდებელი მაინცდამაინც დღეს გაუჩნდათ, როცა საქართველოს მთავრობამ შესთავაზა — მოდით ჩვენს მიწაზე, სამუშაო ადგილები შეგვიქმენით და ბიუჯეტიც შეგვავსებინეთო? ნუთუ მთავრობას არანაირი სურვილი არა აქვს, თავის ქვეყნის სოფლის მოსახლეობას თვითონ შეუქმნას იმის პირობები, რომ ხალხმა თავად შეძლოს მშობლიური მიწის პატრონობაც, მოვლაც, მოსავლის მოყვანაც, ჭირნახულის დაბინავებაც, ბიუჯეტის შევსებაც და თავადაც წელგამართულად ცხოვრებაც?**

**ისე, მეც ვარ რა: ისეთი კითხვა დავსვი, რომელზე პასუხიც ყველასთვის, ვისაც სიმართლის დანახვის ოდნავი სურვილი მაინც აქვს, ისედაც დიდი ხანია ცნობილია.**

არსებული ინფორმაციით, რამდენიმე ბური ფერმერი რამდენიმე თვეა საქართველოში არსებულ პირობებს სწავლობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აგრარული კავშირის გენერალური მენეჯერის ბენი ვან ზილის თავკაცობით. სამხრეთ აფრიკიდან საქართველოში ჯერჯერობით დაახლოებით სამოცი ფერმერი აპირებს ჩამოსვლას, ანუ საკუთარი ბიზნესის წამოწყებას და მის თავისი სამშობლოდან მართვას. საქართველოში ჯერ მხოლოდ ერთი სამხრეთაფრიკული კაცი, უილიამ სტერნბერგ დე კლერკი ცხოვრობს და მუშაობს ბოლნისში.

ცნობილია, რომ საქართველოში ბურებისთვის 80 ათასი ჰექტარი მიწის მიყიდვას აპირებენ ქვეყნის ათივე რეგიონში. ეს ამბავი სამხრეთ აფრიკის მასმედიიდანაა ცნობილი. ამასობაში ჩვენში მოვლენები ბოლო წლებისთვის დამახასიათებელი სცენარის მიხედვით ვითარდება. **ბოლო თვეების მანძილზე საქართველოს პროკურატურის ორგანოებმა ქვეყნის მასშტაბით ორ ჰექტარზე მეტი მიწის ფართების პრივატიზაციის კანონიერების შესწავლა დაიწყეს, რაც ხალხში ათას ეჭვს ბადებს, რადგან ამას ბურებისთვის საუკეთესო მიწების მიყიდვის სურვილს უკავშირებს, თანაც ვნებათაღელვას ხელს უწყობს ათასნაირი ჭორები.**

არსებითია, რომ გლეხებიც და ექსპერტებიც ერთ რამეში სოლიდარულნი არიან: განა რა უნდა ასწავლონ ბურებმა ქართველ გლეხკაცს საკუთარი მიწის მოვლისა? ცხადია, არსებითი არაფერი, მაგრამ ყველა უბედურების სათავე ის არის, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე ქართველ გლეხობას სახელმწიფოს მხრიდან არანაირი რეალური მხარდაჭერა არ ჰქონია — განა 20 თუ 40 ლიტრი საწვავი, ანდა შხამქიმიკატი, გნებავთ ყურძნის რაღაც ნაწილის ჩაბარება, ჩვენს ერთიანად გაჩანაგებულ სოფლის მეურნეობას სასიკეთოს დაამჩნევდა რამეს? ამიტომ ლოგიკურია, რომ კარტოფილიც კი საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს, რითაც საქმოსნები და მათი ლობისტები ხეირობენ, თორემ ჩვენი გლეხობა უფუნქციოდაა დარჩენილი. ამიტომაც ვართ შავ დღეში, ამიტომაც გვირტყამს მსოფლიოს ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი ასე მწარედ, რომ საკუთარს არაფერს ვაწარმოებთ — არც მრეწველობაში, არც სოფლის მეურნეობაში, მხოლოდ საბანკო სექტორი გრძნობს თავს მეტ-ნაკლებად კომფორტულად, ისიც, ძირითადად, უცხოეთში დაბალ პროცენტად აღებული კრედიტების საქართველოში გაცილებით მაღალი განაკვეთით გაცემის წყალობით.

საქართველოში ბურების ასე მასობრივად ჩამოყვანა ქართველი გლეხკაცისთვის სილა თუ პანჩური რომ არის, ამას არავინ ფიქრობს. მისთვის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობაზე დროულად რომ ეზრუნათ ათასი ჯურის „კვეზერელებს“, ბურები მას რაკეტით ვერ დაეწეოდნენ, ამაში ეჭვი არ არის. უფულოდ, უპატრონოდ, თავის ანაბარად მიტოვებულ კაცს გინდა ასობით ჰექტარი მიწა მიეცი, გინდა ერთი ციდა ნაგლეჯი დაუტოვე, იმით თავსაც და ქვეყანასაც იმიტომ ვერ არჩენს, რომ, ელემენტარულად ამის საშუალება არ ექნება!

**ოთარ ტურაბელიძე**

### ინფორმაცია თემაში

**პოლანდიელი ფერმერები, რომლებსაც შემდგომ ბურები შეარქვეს, სამხრეთ აფრიკაში მე-18 მე-19 საუკუნეების შესაყარზე გადასახლდნენ. ისინი მშრომელი ადამიანები, კარგი მეურნეები იყვნენ და თავისუფლების მოპოვების შემდეგ ქვეყანა ააყვავეს კიდეც. ყველაზე ცუდი სამსახური კი ჰოლანდიელთა თეთრკანიან შთამომავლებს აპარტეიდის პოლიტიკამ, ადგილობრივი შავკანიანი მოსახლეობის ჩაგვრამ და დამცირებამ მოუტანა. ახლა დროება შეიცვალა და სამხრეთ აფრიკაში შავკანიან მოსახლეობას უკავია ქვეყნის მართვის სადავეები. შესაბამისად, ბურები აშკარად თუ არ იჩაგრებიან, თავს მაინცდამაინც კომფორტულად ვერ გრძნობენ და თვალი ისევ ევროპა-აზიისკენ უჭირავთ. თანაც საქართველოს მთავრობა, რომ იტყვიან, აქეთ ეხვეწება, მობრძანდითო...**

ინფორმაცია

### ვაუჩერებს მხოლოდ „ლიბერთი ბანკი“ გაანაღდებს

**მთავრობა** სასურსათო ვაუჩერების დარიგებას იწყებს, რომლის განაღდებაც მხოლოდ „ლიბერთი ბანკის“ ოფისებში ან რეგიონებში მოძრავ „ლიბერთი ბანკის„ მოძრავ სერვის-ცენტრებში იქნება შესაძლებელი.

ადრე გავრცელებული ინფორმაციით, სასურსათო ვაუჩერების განაღდება ნებისმიერ კომერციულ ბანკში იყო შესაძლებელი, თუმცა საბოლოოდ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და ვაუჩერის განაღდების უფლება მხოლოდ „ლიბერთი ბანკს“ მიანიჭა. ვაუჩერების განაღდება 1 ივნისამდეა შესაძლებელი.

ჯი-ეიჩ-ენი

რა დღეშიც ვართ

# სიტყვით — პარტნიორები, საქმით — შარაგზის ყაჩაღები

**ამ ბოლო ხანს ხელისუფლების მაღალჩინოსნები ისეთი ეშხით ლაპარაკობენ ბიზნესის მხარდაჭერაზე, იფიქრებ, მთავრობა აშკარად ჭკუაზე მობრახუნებულაო. აღარაფერს ვამბობ თავად პრეზიდენტ სააკაშვილზე, რომელიც მეწარმეთა გასაჭირით იმდენად გულშეძრულია, არ უნდა უსმინო, თორემ მათი საცოდაობით გულმოკლულს, თვალთაგან ცრემლს გაყრევინებს.**

აბა რა იქნება, პრეზიდენტი ხომ საკუთარი თვალით უყურებს იმ ცხოვრებისეული წისქვილის ბორბალს, რაც მეწარმეთა (წვრილთა და მსხვილთა) თავზე ტრიალებს, გულით განიცდის მათს წარუმატებლობას და უნდა, გვერდით დაუდგეს. — თუ გვინდა, განვვითარდეთ და ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსოს, მთავრობა ბიზნესის პარტნიორი უნდა გახდესო, — აღარც კი მახსოვს, უკვე მერამდენედ ამბობს ამას ბატონი მიხეილი, მაგრამ პასუხი იმაზე, ასრულებს თუ არა ვინმე მის ნათქვამს, ნაცების ყველაზე ენაწყლიან „ადვოკატებს“ — პალიკოსა და გოკასაც კი გაუჭირდებათ.

არა, ლაპარაკი კი არ გაუჭირდებათ (ენას ძვალი არა აქვს და როგორც მოგესურვება, ისე დააბზრიალებს), დანაპირების შესრულებაზე შეაშრებათ პირში სათქმელიო. აბა, კარგი ბიჭები არიან და, ერთიორი მაგალითი მაინც დაგვისახელონ, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის პარტნიორობისა (ვერ დაასახელებენ). აი, საწინააღმდეგო ფაქტები კი, რასაც ქართულად, უბრალოდ, ბიზნესის დაყაჩაღება ჰქვია, იმდენია, მთავრობისა და პარლამენტის გაერთიანებული „არქივიც“ ვერ დაიტევს(!).

ჩაიხედოს ამ „არქივში“ ბატონმა პრეზიდენტმა, და თუ არ ეუხერხულა, იმდენ ღლავს ამოათრევს, მათი დათვლა ეკონომიკის ახალგაზრდა მინისტრსაც გაუჭირდება. ეტყობა, ამ პრობლემის დასაძლევად შეიქმნა სპეციალური ბიზნესსაბჭო პარლამენტში, რომელსაც თავად პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე უხელმძღვანელებს. მისი განცხადებით, საბჭოს სხდომებზე ბიზნესის წარმომადგენლები საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს საკუთარ პრობლემებს გააცნობენ და მათ გადასაწყვეტად სათანადო ღონისძიებებს დასახავენ. რაც მთავარია, ბიზნესმა უნდა იგრძნოს, რომ მის მიმართ ხელისუფლება პარტნიორულ დამოკიდებულებაშია.

კაცმა რომ თქვას, რა სჯობს იმას, როცა ხელისუფლება თავად სთავაზობს ბიზნესს პარტნიორობას, მაგრამ, ისევე როგორც ბევრმა სხვა რამემ საქართველოში, ამ ინიციატივამაც, სამწუხაროდ, მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. უფრო საოცარი კი ის გახლავთ, რომ ასეთი ინოვაციური წინადადებისგან თავი შორს დაიჭირა თავად ბიზნესმენმა და ერთგვარად ფეხიც კი აითრია. ლაპარაკია მცირე და საშუალო ბიზნესზე (ეს უკანასკნელი საერთოდ არც არსებობს), თორემ მსხვილი ბიზნესი რომ მთავრობასთან აქამდეც ჩახუტებული იყო, ამაზე უკვე ამერიკაშიც აღარ ეჭვობენ.

რატომ არის ჩახუტებული მთავრობასთან მაინცდამაინც მსხვილი ბიზნესი, ამის ახსნა არა მგონია, ხელისუფლებისთვის მომგებიანი იყოს, აი ამის განმარტებას კი, თუ რატომ გაურბის მცირე ბიზნესი, ამ „უხერხულ თემაზე“ საუბარს პარლამენტის უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე შეეცადა: **„ბიზნესმენები ხელისუფლებასთან ერთი ერთზე დარჩენის დროს ყველაფერზე ღიად, ნათლად და პრინციპულად ვერ საუბრობენ, რადგან დაშინებული არიან, არ უნდათ, ხელისუფლების წარმომადგენლები გადაიკიდონ. მათ არანაირი დაცულობის შეგრძნება და იმის გარანტია არა აქვთ, რომ რაც დარჩათ, იმასაც არ წაართმევენ“,** — დასძენს თარგამაძე.

აი, თურმე სად ყოფილა დამარხული ძაღლის თავი. ბიზნესმენებს ეშინიათ, ამბობს თარგამაძე, რომ რაც დარჩათ, ისიც არ წაართვან(!). ეს ჩვენი ჩინოვნიკები, რომ ფიცულობენ, მეწარმეებთან პარტნიორობა გვინდაო, თურმე ცრუობენ, იმისთვის პირმოთნეობენ, რომ როგორმე რამე წაართვან და წაგლიჯონ. ამის საშუალებას იძლევა თავად საგადასახადო კოდექსი, რომლის ბევრი მუხლი ასეც შეიძლება გაიგო და ისეც. ამიტომ საგადასახადო სამსახურისთვის სულაც არ არის ძნელი დარღვევების აღმოჩენა და ბიზნესმენისთვის იმის დაბრალება, რომ გადასახადები დაბალია და ამით ბიუჯეტი აზარალა. ძნელი არც ზარალისა და საჯარიმო სანქციების განსაზღვრაა, თუ სახელმწიფოსთვის მიყენებულმა ზარალმა 25 ათას ლარს გადააჭარბა, სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევა და ბიზნესმენს საკანში გამომწყვდევა ემუქრება. რა თქმა უნდა, ამ სიტუაციაში ჩავარდნილი ყველაფერს გაიღებს, რომ ციხეს თავი დააღწიოს, თანაც

ეკონომიკა

# რა სიკეთეს მოგვიტანს თავისუფალი ინდუსტრიული ზონა?

(მეხუთე გვერდიდან)

მათი დაინტერესების მთავარი არსი არის ზონაში სავალუტო კონტროლის არარსებობა. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოები ეკონომიკური ზონის შექმნით სხვა ქვეყნის ინვესტორებისგან იღებენ დამატებით ფინანსურ შემოსავლებს, ავითარებენ ინფრასტრუქტურას, ქმნიან სამუშაო ადგილებს, რომელსაც შემდეგი სტრატეგიული მიზნები გააჩნია: ეკონომიკური, სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ეს არის ტერიტორიის ნაწილი, სადაც საქონელი ეროვნული ეკონომიკის გარეთ არსებული ობიექტია. თუმცა განვითარებადი ქვეყნები ასეთ ზონებს ქმნიან ღია ეკონომიკის დანერგვის მიზნით, რისი საუკეთესო მაგალითიც ზემოთ მოყვანილი ჩინეთია. ამასთანავე თავისუფალი ზონის მოუფიქრებელი კლასიკური მაგალითია ინდოეთი: „კანდლა“ ტერიტორიულად არახელსაყრელ ადგილას აღმოჩნდა, რომელსაც არც შესაბამისი ინფრასტრუქტურა აქვს და არც ეკონომიკური სტიმულები განსავითარებლად. საგულისხმოა ისიც, რომ მსოფლიოში არსებული 3000-ზე მეტი ინდუსტრიული ზონიდან, 20 პროცენტიც არ არის ეკონომიკურად წარმატებული.

საქართველოში 1989 წელსვე მომზადდა კონცეფცია ეკონომიკური ზონების დაარსების შესახებ, თუმცა აქტიური მსჯელობა 1995 წლიდან დაიწყო, როცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერმა ასლან აბაშიძემ ამ იდეის სერიოზული ლობირება დაიწყო. მაშინვე მას ოპონენტები გამოუჩნდნენ და პროექტიც ვერ განხორციელდა. ექსპერტი **ჰამლეტ ჭიპაშვილი,** რომელიც მაშინ ასლან აბაშიძის თანამოაზრე იყო, ამბობს, რომ პროექტი წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით ჩააგდო საქართველოს ცენტრალურმა მთავრობამ. — **„ეკონომისტები ამტკიცებდნენ, პროექტი არ ვარგაო და არგუმენტად წმინდა პოლიტიკურ მოტივებს ასახელებდნენ, სეპარატიზმს გამოიწვევსო. ჩვენ ვეკითხებოდით, ეკონომიკური თვალსაზრისით თუ არის მისაღები-თქო? — საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ. აჭარის ცალკე გასვლისა ეშინოდათ, თუმცა დღესაც არაფერი იციან, საფუძვლიანად რას ნიშნავს ფედერალიზმი, რეგიონალიზმი, ევროპაში როგორი სისტემა აქვთ. იმდენად მრავალმხრივია რეგიონული ურთიერთობები, რომ არსებობს რეგიონული ეკონომიკური ურთიერთობები, რეგიონული დიპლომატია, საგარეო კავშირები, საზღვრისპირა კონტაქტები და ა. შ. აჭარა ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრია, მაგრამ ამ პროტენციალს არ იყენებს“.**

ექსპერტი პირადად გახლდათ ჩინეთის რამდენიმე თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში: **„შენჟენი 25 წლის წინათ 3-ათასიანი მეთევზეთა სოფელი იყო, ახლა კი 10- 12-მილიონიანი უზარმაზარი ქალაქია, რომელიც მეტოქეობას უწევს ჰონკონგს. ის არის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქალაქი, სადაც არ არის მძიმე მრეწველობა, მხოლოდ მსუბუქი მრეწველობა ვითარდება. ძალიან ბევრი ფული ჩადეს ამერიკამ და ევროპამ. და შენჟენის მიმდებარე ტერიტორიებიც პარალელურად განვითარდა.“**

**თავისუფალი ეკონომიკური ზონის განვითარების შესახებ ჩინელმა პროფესიონალებმაც დაწერეს პროექტი, თუმცა ისიც დაიბლოკა: მათ დაწერეს პროექტი ასლან აბაშიძის დაკვეთით, თუმცა ის ეხებოდა არა მხოლოდ აჭარას, არამედ საქართველოს, — ამბობს ჭიპაშვილი, — მათი გეგმით, ზონას მართავდა 10 პიროვნება, აქედან 9 იქნებოდა თბილისში და მხოლოდ ერთი — ალმასრულებელი ამ ზონაში. ეკონომიკური თვალსაზრისით ზონა ფეხზე დადგებოდა, მაგრამ პროექტის მიხედვით, ეს არ იძლეოდა არანაირ პოლიტიკურ საშუალებას იმისა, რომ რეგიონი დედაქალაქს გამოჰყოფოდა“.**

შეიცავს თუ არა თავისუფალი ეკონომიკური ზონა წმინდა ეკონომიკური საფრთხეებს და არის თუ არა ის არათუ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მსოფლიოსთვის საშიში? ოთარ ანგურიძეს ამის მაგალითები უხვად მოჰყავს. **„სახელმწიფოები თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნით ხელს უწყობენ ინვესტორის მხრიდან გადასახადებისგან თავის არიდებას და ხშირ შემთხვევაში „შავი ფულის“ გათეთრებას, რითაც ზარალდება მრავალი სახელმწიფო. მსოფლიო წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, მსგავსი ზონების გამო განვითარებადი ქვეყნები ვერ იღებენ დაახლოებით 50 მილიარდი დოლარის გადასახადებს. „შავი ფული“ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, „შავი ფული“ მსოფლიოს მთლიან შიგა პროდუქტში 2-5 პროცენტს შორის მერყეობს“.** ასე რომ, ასლან აბაშიძის ოპონენტთა ლოგიკაში ჭეშმარიტების მარცვალი არსებობდა.

თუმცა 2007 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების“ შესახებ და უკვე დღევანდელი კანონმდებლობით გათვალისწინებულია რამდენიმე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა. ერთი ფოთში, ორი ქუთაისში, ერთი თბილისში და ერთიც ბათუმში. საუბარია ქობულეთის, ანაკლიისა და მესტიის თავისუფალ ეკონომიკურ ზონებზეც, რომელიც, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ შეღავათებს აწესებს. პროექტის თანახმად, მინიმუმ ერთი მილიონი ინვესტიციის შემთხვევაში ბიზნესმენი 15 წლის განმავლობაში თავისუფლდება მოგებისა და ქონების გადასახადისგან, ხოლო სასტუმროს ასაშენებელი ნაკვეთი სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაეცემათ. ბიზნესმენები რამდენიმე მიზეზის გამო ინტერესდებიან: მოგების გადასახადი არ არსებობს, ან უმნიშვნელოა, ფირმის რეგისტრაციის პროცედურები გამარტივებულია, ასევე მარტივია ფირმის მართვის პროცედურა და არ არსებობს შეზღუდვა ზონაში ვალუტის შეტანასა და გატანაზე.

მაგრამ უცხოელი ინვესტორები „ცარიელ ადგილზე“ არ მოდიან. მათ აინტერესებთ ზონაში შექმნილი ინფრასტრუქტურა, რომლის შექმნისთვის საჭირო სახსრები ბიუჯეტმა უნდა გამოყოს, რაც ჩვენი ხაზინისთვის საკმაოდ სოლიდური თანხებია.

მთლიანობაში თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ბიზნესის წარმოება საგადასახადო სარგებლიანობის თვალსაზრისით მომგებიანია. მისი დადებითი თვისებაც ის არის, რომ შეუძლია უცხოეთიდან კაპიტალის მოზიდვა, რასაც ტექნოლოგიების შემოდინება მოჰყვება ხოლმე, მაგრამ ინვესტორისთვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას, რითაც საქართველო დიდად მიმზიდველად არ გამოიყურება.

საინტერესოა დასაქმების თემაც, რადგან ეკონომიკურ ზონაში საშემოსავლო გადასახადი მხოლოდ ადგილობრივ მუშახელს ეკისრება, ხოლო სხვა ქვეყნიდან შემოსული სამუშაო ძალა გადასახადისგან თავისუფალია. ამდენად, დასაქმების ხელშეწყობა დიდი ეფექტის მომტანი არ იქნება, თუნდაც ამის გამო. თავისუფალი ეკონომიკური ზონა საწყის ეტაპზე ხარჯებთანაა დაკავშირებული, რადგან ბიუჯეტის შემოსავლები იკლებს საგადასახადო შეღავათების დაწესების გამო.

და ამ მრავალმხრივობის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა მაინც ოპტიმისტურად უყურებს თავისუფალი ეკონომიკური (ინდუსტრიულიძ ზონების არსებობას. ქუთაისში მოქმედება დაიწყო ეგვიპტურმა „ფრეშმა“ და ქართველმა პარტნიორმა „ჯორჯიან ინტერნეიშნელ ჰოლდინგმა“. ქუთაისის მეორე ინდუსტრიულ ზონაში ჩინური „ჰინგლი ინდასთრი“ შევიდა. ფოთში არაბული „რაკ ჯორჯია“ აშენებდა, ხოლო თბილისის ზონაში აეროპორტის ტერიტორიაზე მოქმედებას ებრაული კომპანია „ტერა ერთი“ აპირებს. ბათუმში ხელვაჩაურის რაიონშიც ინვესტორმა მთავრობის პირობის მიხედვით, 2 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი უნდა შექმნას.

უკვე შექმნილი ზონების სარგებლიანობისა და ეფექტურობის შესახებ უტყუარი ინფორმაცია არ არსებობს. ალბათ, იმიტომაც რომ, არც ერთი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ჯერ საფუძვლიანად არ ამოქმედებულა. ამიტომ რა მოგვცა უკვე განხორციელებულმა იდეამ, ამის თქმა რთულია. თუმცა ყველაფრის მიუხედავად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის მომხრეთა გუნდი სავარაუდოდ მხოლოდ მთავრობაშია, რომლებიც უფრო ზოგადად საუბრობენ ამ თემაზე, ვიდრე კონკრეტულად, ხოლო ოპონენტები მეტნი არიან.

თვით ჰამლეტ ჭიპაშვილიც კი, რომელიც ერთ დროს ეკონომიკური ზონის აქტიური მხარდამჭერი იყო, დღეს ამტკიცებს, რომ თანამედროვე პროექტი სწორედ იმ საშიშროებას შეიცავს, რისიც თავის დროზე ეშინოდათ მის ოპონენტებს. **„ზუსტად ვიცი, რომ ეს იქნება თაღლითების ნაკრძალი, ფულის გათეთრების არაჩვეულებრივი ზონა, რომელსაც სერიოზული კონტროლი სჭირდება.“**

კიდევ უფრო რიტორიკულ კითხვას სვამს ექსპერტი **ნოდარ ჯავახიშვილი: „ტვინი გამოგვიჭედეს, ევროკავშირში უნდა შევიდეთო. მაშინ გეკითხებით, როგორ ეწყობა თავისუფალი ეკონომიკური ზონა ევროკავშირის ზონას, სადაც ყველაფერი ამ უკანასკნელის წესებით რეგულირდება? შეიძლება რომელიმე ზონა ევროკავშირის რეგულირების გარეშე დარჩეს?**

**და მაინც... რეალურად ჩვენ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არა გვაქვს. თუნდაც ფოთი, სადაც „რაკ ჯორჯია“ შემოვიდა და წავიდა. ვინმემ იცის, რა ვალდებულება აიღო, რა პასუხისმგებლობა ჰქონდა... რა სარგებელი მივიღეთ, რა დავკარგეთ, რა მოვიგეთ, სად არის აყვავებული ფოთი, ნაომარ სტალინგრადს რომ ჰგავს? ქუთაისის მეტალურგიულ კომბინატშიც 40 ინდოელი მუშაობს, ეს არის კომბინატი?**

**თუკი ხელისუფლებას უნდა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ვინ უშლის, დანერგოს მთელ საქართველოში. მოდი, ჯერ რეალურად გახადოს ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა და მერე ვნახოთ, დაგვჭირდება თუ არა თავისუფალი ზონა“.**

კითხვაზე — იქნებოდა თუ არა ეფექტიანი თავის დროზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის აშენება (თითქმის 20 წლის წინათძ ექსპერტი ვარაუდობს რომ, არა. რაც შეეხება მომავალს, ჯავახიშვილი პესიმისტურად არის განწყობილი: **„ინვესტორი აქ არ შემოვა. რაც არ უნდა ვიძახოთ სინგაპურიზაციაო, მას სხვა სტრატეგიული მდებარეობა აქვს. მისი განსაკუთრებულობა იმაშია, რომ ეს არის პორტი, სადაც უნდა შევიდეს წყნარი ოკეანიდან ინდოეთის ოკეანისკენ მიმავალი გემი. ასეთი გემი ჩვენთან არ მოვა. ფოთი მიმზიდველი სატრანსპორტო ცენტრი არ არის. საბჭოთა კავშირის დროს 90 მილიარდი ტვირთი გადიოდა საქართველოზე, ახლა 8-9 მილიარდი გადის. თუნდაც რომ გავუთანაბრდეთ მაშინდელ მაჩვენებელს, ამისთვის არავითარი აუცილებლობას არ წარმოადგენს თავისუფალი ზონის არსებობა, ტვირთს უამისოდაც ვატარებდით?!“**

ამის მიუხედავად, საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონები მაინც აშენდება. და სულ რამდენიმე წელიწადში გავიგებთ, მივბაძავთ ჩინეთს ან სინგაპურს, თუ ინდოეთის რეალობა შეგვრჩება ხელთ...

**თეა მოსია**

რა დღეშიც ვართ

# მეწარმეებს ეშინიათ, რაც დარჩათ, ისიც არ წაართვან!

ენას კბილი დააჭიროს, რომ მომავალში დამატებითი პრობლემები არ შეექმნას.

ასეთი ფაქტები ხშირად არ ხმაურდება იმის იმედით, რომ, შესაძლოა, მაკონტროლებლებთან გარიგება შედგეს, საჯარიმო თანხები შემცირდეს და ციხისგან თავის არიდებაც მოხერხდეს. თავის მხრივ, ამით სარგებლობენ ძალოვანი უწყებებიც, რომლებსაც ჯარიმა-საურავებით ბიუჯეტის შევსების კარგი შანსი უჩნდებათ. ზოგი წყაროს ცნობით, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს „გეგმებიც“ აქვთ მიცემული, თითოეულმა ამ გზით ბიუჯეტს რამდენიმე მილიარდი ლარი უნდა შემატოს.

გარდა იმისა, რომ ბიზნესს ჯარიმა-საურავებით ატყავებენ, ახალმა საგადასახადო კოდექსმა, რომელიც ხელისუფლებამ „რევოლუციურ კანონად“ მონათლა, მას ბევრი ახალი თავსატეხი გაუჩინა, რომლებსაც მეწარმეები ახლაღა, გზადაგზა აწყდებიან. ზოგს რომ ეგონა, საგადასახადო ტვირთი შემსუბუქდებოდა, პირიქით, უფრო დაუმძიმდა.

მაგალითად, მეწარმეებს, რომლებსაც მაღაზიები აქვთ და მცირე ბიზნესის სტატუსით სარგებლობენ, ბრუნვის 5 პროცენტით დაბეგრავენ, არადა ჰპირდებოდნენ, რომ შემოსავლების 60 პროცენტის დეკლარირების შემთხვევაში, მხოლოდ 3 პროცენტს გადაიხდიდნენ. ფაქტია, ამათ საგადასახადო ტვირთი დაკლების ნაცვლად კიდევ უფრო დაუმძიმდათ. საგადასახადო „სიურპრიზი“ ელის მიკრობიზნესსაც, რომელთა წარმომადგენლებმა არ იციან, რომ კოდექსში შესატანი ცვლილებების თანახმად, ისინი არ ჩაითვლებიან ამ სფეროს მუშაკებად, თუ პროდუქციას არ ქმნიან და გაყიდვით არიან დაკავებულნი. მათ მცირე ბიზნესის სტატუსი ექნებათ და დაიბეგრებიან. მიკრობიზნესის სტატუსს მხოლოდ ის პირები მიიღებენ, ვინც შესყიდული საქონლის გადამუშავებასა და მოწოდებას ახორციელებს, მაგალითად მკერავები, ხაჭაპურისა და ნამცხვრის მცხობელები, მესაათეები, რომლებიც გადასახადებს ისედაც არ იხდიდნენ.



გამოდის, რომ მიკრობიზნესის ცნების შემოღებით ბევრი მეწარმე აცდუნეს. თანაც საგადასახადო ტვირთი კი არ მოუხსნეს, პირიქით, გაუზარდეს. მას უფრო მეტი გადასახადის გადახდა მოუწევს, ვიდრე ინდმეწარმის სტატუსით მუშაობის დროს უწევდა.

ახლა ისიც ვთქვათ, რას მიიღებენ მეწარმეები ახალი სალარო-აპარატების დანერგვით? მთავრობის წევრთა განცხადებით, ამ ნაბიჯით გამარტივდება ურთიერთობა ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის. ახალი აპარატი ნებისმიერ ფინანსურ ოპერაციას შემოსავლების სამსახურის სერვერზე ავტომატურად დააფიქსირებს და საგადასახადო ორგანოსთან მეწარმეებსაც ნაკლები უთანხმოება ექნებათ. როგორც აცხადებენ, ახალი აპარატები მცირე მეწარმეებს საჩუქრად გადაეცემათ, მსხვილ გადამხდელებს კი მასში 300 ლარის გადახდა მოუწევთ.

— ეს სიახლე რა სარგებელს მოგიტანთ მეწარმეებს? — ვკითხე დედაქალაქის ერთ-ერთი საწარმოს თავკაცს, რომელმაც ვინაობის გამხელა, გასაგები მიზეზების გამო, არ ისურვა.

— ეს კიდევ ერთი ახალი ხრიკია ჩვენთვის ფულის დასაცინცლად, — თქვა მან, — ყოველდღიურად ჩემი საწარმოდან პროდუქცია 7 ავტომანქანას გააქვს სარეალიზაციოდ, გარდა ამისა, მაქვს 2 მაღაზია. გამოდის, რომ ყველა მათგანისთვის და პლუს ადმინისტრაციისთვის დამჭირდება 10 სალარო-აპარატის შეძენა (სულ 3000 ლარისძ, რაც იოლი გადასახდელი არ გახლავთ. აპარატები კი გააიოლებენ საგადასახადოსთან ურთიერთობას და ავტომატურად გადასცემენ მას მონაცემებს, მაგრამ ისინი არ აღნუსხავენ დარღვევებს. ასე რომ, მათი მხრიდან წარამარა შემოწმებებს და შესაძლო ჯარიმებს მაინც ვერ გავექცევით. ესეც არ იყოს, როდემდე უნდა გაგრძელდეს ამ აპარატების ცვლა, ხვალ შეიძლება ეგეც აღარ მოეწონოთ და ახლის ყიდვა მოგვთხოვონ. ჭკუა დაუშლით თუ თანამდებობა?

მოკლედ, სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეებსა და ბიზნესმენებთან პარტნიორობაზე ლაპარაკი საქართველოს პირველ რეფორმატორ ქვეყნად აღიარებას უფრო მაგონებს, ვიდრე რეალობას. სულ სხვა საქმეა იმავე სახელმწიფოს მიერ ბიზნესის გაყიდვა-დაყაჩაღება.

ამ საკითხზე, კი ბატონო, რამდენიც გნებავთ, იმედი ვისაუბროთ.

**ოთარ ხუციშვილი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო ამერიკისა და რუსეთის ურთიერთობათა დაბრკოლებაა

**ამ კვირაში ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენ-უმცროსი ესაუბრება რუსეთის ლიდერებს. განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობათა „გადატვირთვის“ შედეგები, კერძოდ, უკვე დიდი ხნის წინათ დასმული საკითხი რუსეთის შესვლის შესახებ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რასაც აქტიურად უჭერენ მხარს ამერიკის ოფიციალური პირები.**

მაგრამ ამ პროექტის წარმატების შესახებ საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. კერძოდ, დიდ დაბრკოლებად რჩება ის ფაქტი, რომ საქართველოს, რომელიც სავაჭრო ორგანიზაციას 2000 წელს შეუერთდა, უფლება აქვს, დაბლოკოს ამ ორგანიზაციაში ნებისმიერი წევრის მიღება.

აზრთა სხვადასხვაობა საქართველოსა და რუსეთს შორის იზრდებოდა უკანასკნელი მთელი ათეული წლის განმავლობაში. თავის თანხმობის სანაცვლოდ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა რუსეთისგან მოითხოვდა პოლიტიკის შეცვლას. მოლაპარაკება დაიწყო 2008 წლის დასაწყისში, მაგრამ უკვე რამდენიმე თვის შემდეგ ორ ქვეყანას შორის გაჩაღდა ომი აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის სეპარატისტული რეგიონების გამო და შემდგომი განხილვა უიმედო საქმედ იქცა.

ამჟამად 17 წლით გაჭიანურებული პროცესი რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით დასასრულისკენ მიდის. ორშაბათს, როგორც შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა განაცხადა, საქართველოს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ისინი აპირებენ, შეხვდნენ თავიანთ რუს კოლეგებს შვეიცარიაში, რომელიც „უფლებამოსილია იყოს შუამავალი ორ მხარეს შორის“.

ეს არის მეტად რთული და ნაწილობრივ მტკივნეული საკითხიც ყველა დაინტერესებული მხარისთვის: რუსეთისთვის, რომელიც იძულებულია, მოელაპარაკოს მთავრობას, რომელიც მან დათრგუნა, შეერთებული შტატებისთვის, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია რუსეთის შესვლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, და საქართველოსთვის, რომელიც იძულებულია, აწარმოოს მოლაპარაკება უკიდურესად მჭიდრო ვადებში მანამ, სანამ მისი მოკავშირეები არ დაიწყებენ მოუთმენლობას.

„საქართველოსთვის საკითხი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შესახებ – ეს არის მეტად რთული საკითხი, რომ იტყვიან, ორბოლოიანი ჯოხია“, – მიაჩნია ჯონს ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტის ფუნდამენტური საერთაშორისო კვლევების სკოლასთან არსებული ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის კვლევითი სამუშაოების დირექტორს სვანტე კორნელის.

„ერთი მხრივ, ეს ერთგვარი ბერკეტია, – ამტკიცებს ბატონი კორნელი. – მეორე მხრივ, საქართველო შეიძლება გამოჩნდეს იმ პრობლემის წყარო, რაც მას იზოლაციით ემუქრება“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ნიკოლოზ ვაშაკიძემ ორშაბათს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ინიციატივა მოლაპარაკების წარმოების შესახებ მოდის რუსეთიდან, და რომ ეს მოლაპარაკება უნდა დაიწყოს ოთხშაბათს ან ხუთშაბათს. იმის შესახებ, თუ რა პირობებს აყენებს საქართველო, მან არ ისაუბრა. მაგრამ ადრე საქართველოს მხარე მოითხოვდა საბაჟო კონტროლში მონაწილეობას სეპარატისტულ ტერიტორიებსა და რუსეთს შორის საზღვარზე.

საქართველოს პარლამენტის საგარეო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კანდელაკმა განაცხადა, რომ მას სურდა, ეხილა საზღვრის რუსეთის მხარეზე საერთაშორისო მეთ-



ვალყურეები – ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის ანალოგად, რომელიც ბაზირებულია დნესტრისპირეთის საზღვართან – ეს მოლდოვის სეპარატისტული რეგიონია. ბატონი კანდელაკის სიტყვებით, მეთვალყურეებმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ საქონლისა და ნარკოტიკების კონტრაბანდას, აგრეთვე საზღვარზე რუსეთის სამხედრო ტექნიკის გადაადგილებას.

„თუ რუსეთი არ დათანხმდება ამას, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში იგი ვერ შევა, – დაუმატა მან, – საქართველოს არ სურს, იყოს დაბრკოლება. მაგრამ სირთულის მიზეზი საქართველოში როდია“.

მისი სიტყვებით, მოლაპარაკება საქართველოს აძლევს „კარგ შესაძლებლობას, შეახსენოს საერთაშორისო გაერთიანებას“ სეპარატისტული ტერიტორიების შესახებ, რომელთა დამოუკიდებლობაც აღიარეს მხოლოდ რუსეთმა და სხვა სამმა ქვეყანამ. ორნახევარი წლის შემდეგ, რაც რუსეთის ჯარებმა გაანადგურეს საქართველოს არმია სამხრეთ ოსეთში, ათობით ათასი ეთნიკური ქართველი, რომლებიც ადრე ანკლავში ცხოვრობდა, ძველებურად დევნილად რჩება. რუსეთმა კი ამ დროს ამბოხებული ტერიტორიებზე განათავსა მძიმე შეიარაღება, მათ შორის ტაქტიკური ბალისტიკური რაკეტები და გამშვები მოწყობილობანი.

„ეს საკითხი ძველებურად აქტუალურია და მას აქვს პირდაპირი შედეგები ევროპის უშიშროებისთვის, – ამტკიცებს ბატონი კანდელაკი. – პრობლემა ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი“.

მოლაპარაკებაზე რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის შესახებ დელეგაციის ხელმძღვანელმა მაქსიმ მედვედკოვმა უარი გვითხრა თხოვნაზე კომენტარების შესახებ.

ამერიკელი ჩინოვნიკები განზრახ დგანან განზე პროცესთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებულია, რათა რუსეთი გახდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. პრეზიდენტ ობამას მრჩეველმა მაიკლ მაკფოლმა მოლაპარაკებას უწოდა „ორმხრივი და არა სამმხრივი საკითხი“.

მოსკოველ დიპლომატებს „ესმით, რომ სერიოზულად უნდა მიუდგნენ ამ საკითხს, და რომ მათ უბრალოდ ლოდინი არ შეუძლიათ, სანამ ჩვენ ვაიძულებდეთ ქართველებს წავიდნენ დათმობაზე – იმიტომ, რომ ჩვენ ამის გაკეთებას არ ვაპირებთ“, – ხაზგასმით აღნიშნა ბატონმა მაკფოლმა პარასკევს სატელეფონო პრესკონფერენციის დროს. საქართველოს ლიდერები, მისი სიტყვებით, მზად არიან, „განიხილონ კონკრეტული ეკონომიკური და სავაჭრო საკითხები და არ გადაიტანონ დავა სხვა დონეზე“.

პეტერსონის სახელობის ვაშინგტონის საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუტის რუსეთის სპეციალისტი ანდერს ასლუნდი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა მოსთხოვოს მოსკოვს, მოხსნას ყველა სავაჭრო სანქცია, რომელიც შემოიღეს 2006 წელს, როდესაც რუსეთის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა აკრძალა საქართველოდან ღვინისა და მინერალური წყლების ექსპორტი, რითაც ძლიერი დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას. მოლაპარაკება საბაჟო და სასაზღვრო საკითხებზე იქნება გაცილებით უფრო რთული, ვინაიდან ისინი დაკავშირებულია „საზღვრების ოფიციალურ აღიარებასთან“, მიაჩნია ბატონ ასლუნდს.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ვეტოს უფლება, რაც საქართველოს აქვს, – ეს არის ერთ-ერთი უკანასკნელი ვითარება (სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პრობლემებთან ერთად), რომელიც დგას რუსეთისა და სავაჭრო ორგანიზაციის წევრობას შორის. ბატონ ასლუნდის სიტყვებით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები აღიარებენ საქართველოს უფლებას, ივაჭროს რუსეთთან, მაგრამ რუსეთი სულ უფრო ახლოა შესვლასთან“.

„ამჟამად საქართველოს აქვს სერიოზული ბერკეტები, მაგრამ ისინი მალე გაქრებიან, – ამტკიცებს იგი. – მან ეს ბერკეტები უნდა გამოიყენოს ეფექტიანად“.

The New York Times ON THE WEB

# არაბული მოხატულობის მზაკვრობანი

**გვესაუბრება დოქტორი აბას ხალალ კუნფუდი – არაბული აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი მცოდნე. 2003 წლამდე იგი იყო ერაყის ელჩი რუსეთში, ამჟამად რუსეთის გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პროფესორია.**

*– რა გახდა ეგვიპტესა და მთელს არაბულ აღმოსავლეთში მომხდარი მღელვარებების მიზეზი, რომლებმაც მსოფლიო შეაშფოთეს?*

– ისტორიულად ეგვიპტე არაბული სამყაროს ცენტრი იყო და, ეტყობა, უბრუნდება ამ ადგილს. პრეზიდენტი მუბარაქი გაიქცა სახალხო რევოლუციის შედეგად. ზოგიერთ ანალიტიკოსს სურდა, დაებნია საზოგადოებრივი აზრი, მიექცია ვაშინგტონის განსაკუთრებული ყურადღება, როდესაც მომხდარს წარმოადგენდა „მუსილიმი ძმების“ საქმედ. მაგრამ ეს ასე არ არის. ეგვიპტემ ძალიან შორს შეტოპა, როდესაც მისდევდა პროამერიკულ კურსს, უარი თქვა საერთო არაბულ ინტერესებზე. მაგალითად, ყურადღებას არ აქცევდა პოლიტიკურ პრობლემას, რომელიც არაბული სამყაროს ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. მუბარაქს მიაჩნდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ისრაელთან განსაკუთრებული ურთიერთობანი სამარისია ეგვიპტის როლის მხარდაჭერისთვის რეგიონული ლიდერის სახით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეგვიპტე ჩართო თავისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების ზონაში, მოცულობით ამერიკის დახმარება ეგვიპტისთვის მეორე ადგილზე იყო ისრაელის შემდეგ. ეს იყო ეგვიპტის გავლენის დასასრული არაბულ სამყაროში. როგორც ჰენრი კისინჯერი წერდა: „როგორც კი დაირღვევა ერის იმიჯი, იკარგება მისი მზადყოფნაც, შეასრულოს წამყვანი როლი მსოფლიო პოლიტიკაში“.

მუბარაქი და მისი გარემოცვა ყურს არ უგდებდნენ ეგვიპტის ქუჩების ხმას და შედეგად დაკარგეს კონტროლი მასზე. ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი დღეში ორ დოლარზე ნაკლებით ცხოვრობს, მაგრამ უფრო შეძლებული ხალხიც დამამცირებელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაგალითად, ეგვიპტელმა რომ დაისვენოს შარმ-ელ-შეიხში, მას სჭირდება დაწეროს თხოვნა შინაგან საქმეთა სამინისტროში სამი თვით ადრე და ელოდოს ნებართვას.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში „ფერადი რევოლუციებისგან“ განსხვავებით, არაბული რევოლუცია ტუნისსა და ეგვიპტეში ანტიამერიკული ხასიათისაა. თამაშის ძველი წესები, როდესაც პროამერიკელი დიქტატორი ლეგულობდა პარტ-ზლანში ამერიკის შეერთებულ შტატებთან საგარეო-პოლიტიკის შეთანხმების პირობებში, ახლა აღარ მოქმედებს.

*– რა კურსით წავა ეგვიპტე?*

– ნებისმიერი მთავრობა, რომელიც ჩამოყალიბდება, უფრო მეტად მოუსმენენ ეგვიპტელ ხალხს, განამტკიცებს ეგვიპტის როლს საერთაშორისო საქმეებში, გააცივებს თავის ურთიერთობას ისრაელთან, აუცილებლად გაუწევს მორალურ და მატერიალურ დახმარებას პალესტინელებს ღაზის სექტორში. ჩვენ გავხდებით ეგვიპტის დაბრუნების მოწმენი არაბულ სამყაროში.

*– რა როლი შეუძლია შეასრულოს რეგიონში რუსეთს?*

– რუსეთს აქ დიდი შესაძლებლობები აქვთ. მთავარია – არაბი ხალხის ძველი სიმპათიები, კოლონიური წარსულის უქონლობა, ათეული წლების პოლიტიკური მხარდაჭერა არაბული ქვეყნებისადმი. და პიროვნული კავშირები არაბებთან, რომლებმაც მიიღეს განათლება თქვენს ქვეყანაში.

*– როგორი იქნება ლიბიის ბედი?*

– ან ამჟამინდელი სახალხო რევოლუცია გაიმარჯვებს მთელს ლიბიაში, ან ქვეყანა დაიშლება დასავლეთისთვის – მას, მოსალოდნელია, შეინარჩუნებენ კადაფის მომხრეები – და აღმოსავლეთისთვის – მას არ დათმობენ ამბოხებულები. არეანზე გამოვლენ ტომები და ბელადები...

*– მაგრამ მუამარ კადაფი ხომ არ შეიძლებოდა მიგვეჩნია პროამერიკელ დიქტატორად?*

– არ შეიძლებოდა. თუმცა ერაყის პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯის შემდეგ, მან გადაწყვიტა დაახლოებოდა დასავლეთს. მაგრამ ამჟამინდელი მოვლენები, ანტიამერიკული სახალხო რევოლუცია ბევრ რამეს შეცვლის. ბახრეინის მეფემ მღელვარების შემდეგ ხელი მოაწერა სოციალურ პაკეტს, რომლის თანახმადაც თითოეულ მცხოვრებს გადაუხდიან 3 ათას დოლარს. მაგრამ ფული თავისთავად არაფერს გადაწყვეტს. სახალხო მღელვარებამ შეიძლება მოიცვას ალჟირი, მაროკო და საუდის არაბეთიც კი...

*– ეს ყოველივე გამოიწვევს ისლამიზმის ზრდას?*

– არა, გაძლიერდება არა ისლამიზმი, არამედ არაბული ნაციონალიზმი, როგორც ნასერის დროს.

*– უკვე ჩამოყალიბდა არაბი ლიდერების ახალი თაობა?*

– არა. ჩვენთან ჯერ ჩამოაგდებენ, შემდეგ კი ფიქრობენ, ვისით შეცვალონ იგი.

*საუბარს უძღვებოდა*
**იგორ შუმეიკო**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ირანის პოლიციამ გამოიყენა გაზი ოპოზიციასთან ახალი შეტაკებების დროს**

ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ ახმადინეჟადის მოწინააღმდეგეები მოითხოვდნენ ოპოზიციის ორი დაპატიმრებული ლიდერის მირ ხოსეინ მუსავისა და მეხდი კიარუბის გათავისუფლებას. სასამართლო ხელისუფლება ირწმუნება, რომ ოპოზიციონერები დაპატიმრებული არ არიან, არამედ „იმყოფებიან თავიანთ სახლებში, ისინი მხოლოდ კონტაქტებში შეზღუდეს“.

* * *

**კადაფის შეეშინდა ლიბიის დასავლეთის კოლონიად გადაქცევა**



ოპოზიციური გარდამავალი ეროვნული საბჭოს წევრებს ჯამაჰირიის უფროსმა „გამყიდველთა ხროვა“ უწოდა. მაგრამ, ოფიციალური მონაცემებით, იგი უკვე ემზადება უცხოეთში გასაქცევად და ევაჭრება მეამბოხეებს. შემოდის ცნობები ტრიპოლის გარეუბნებში ბრძოლების შესახებ, ზოგან მიიჩნევენ, რომ დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები „მოჩვენებითობის“ მსხვერპლია.

* * *

**ეგვიპტის ხელისუფლებამ მუბარაქის ოჯახს თვითმფრინავები წაართვა**

პრეზიდენტის თვითმფრინავმა და ყოფილი პრეზიდენტის პირადმა თვითმფრინავმა დატოვა ქალაქ შარმ-ეშ-შეიხის აეროპორტი, სადაც მუბარაქის ოჯახი იმყოფებოდა.



* * *

**7,2 ბალის სიძლიერის მიწისძვრა იაპონიის სანაპიროზე: გამოცხადებულია ცუნამის საფრთხის შესახებ**

იაპონიის მეტეოროლოგიური სამსახური აფრთხილებს, რომ ტალღების სიმაღლემ შეიძლება ნახევარ მეტრს მიაღწიოს. მიაგის, ფუკუსიმასა და ივატეს პრეფექტურების მცხოვრებლებს აუკრძალეს ოკეანის სანაპიროსთან მიახლოვება. მიწისქვეშა ბიძგები იგრძნობოდა ხონსიუს მთელ აღმოსავლეთ ნაწილში, მათ შორის ტოკიოშიც.

* * *

**კალიფორნიის სამხრეთის ნავსადგურში მილიონი სარდინი „ამოიხრჩო“**

ბიოლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მასობრივი დაღუპვის მიზეზი გახდა ჟანგბადის უკმარისობა აკვატორიაში, რომელიც, სავარაუდოდ, გამოიწვია სარდინის ძალიან დიდმა ოდენობამ წყლის შეზღუდულ სივრცეში. თევზი „ტყვეობაში“ შეიძლება შეყარა ძლიერმა მოქცევამ და მავნე მიკროორგანიზმების არსებობამ.



განსჯა

# ჩვენი ხალხი პირუტყვი როდია!

## არ არის საჭირო მუდამ ვცდიდეთ მის მოთმინებას, მიაჩნია მიხეილ გორბაჩოვს



**2 მარტს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს 80 წელი შეუსრულდა. ჩვენმა გაზეთმა ისარგებლა შემთხვევით, რომ გასაუბრებოდა სსრ კავშირის ყოფილ პრეზიდენტს არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლაზე, არამედ რუსეთის დღევანდელ დღეზეც.**

**– ბატონო მიხეილ, ბევრი ჩვენი მკითხველი გაოცებულია: იუბილის დღესასწაულს რატომ აწყობთ ლონდონში და არა მოსკოვში? ალბერტ-ჰოლში ზეიმის გაქანება შთამბეჭდავია: ბილეთები 35 გირვანქა სტერლინგიდან 100 ათას გირვანქამდეა ლოჟაში, მოწვეულები არიან არნოლდ შვარცენეგერი, შერონ სტოუნი, კეტრინ დენევი... ეს იმ ფაქტის აღიარებაა, რომ დასავლეთში თქვენ უკეთ გეპყრობიან, ვიდრე რუსეთში?**

– არა, რუსეთის სიყვარულს დასავლეთისაზე მე არ გავცვლი (იცინის) და საერთოდ, ეს არის სტერეოტიპი, კლიშე, რომლებიც აამოქმედეს მათ, ვისაც გორბაჩოვი არ უყვარს. იუბილის დღესასწაული კი გაიმართა მოსკოვში. 2 მარტს გაიმართა მეგობრული საღამო: შეიკრიბნენ ნათესავები, თანამემამულეები – სულ დაახლოებით 300 კაცი. სიმართლე რომ ითქვას, მინდოდა წავსულიყავი სადმე სიწყნარეში და იქ დავმალულიყავი და მეჭამა (იცინის)... მაგრამ მეგობრებმა მაიძულეს, რომ მაინც აღმენიშნა იუბილე. ლონდონში კი 30 მარტს იქნება კონცერტი და საქველმოქმედო აუქციონი. შეგროვილი ფული მოხმარდება კიბოთი დაავადებული ბავშვების მკურნალობას.

**– თქვენ ისაუბრეთ არაკეთილმოსურნეებზე, ისინი დღესაც ბევრია. თქვენი გადადგომიდან 20 წლის შემდეგ თქვენ ბორის ელცინთან ერთ დონეზე გაყენებენ – როგორც „დიდი სახელმწიფოს დამანგრევლებს“. არ გწყინთ ასეთი მეზობლობა და ასეთი ბრალდება?**

– ელცინი და მე მაინც სხვადასხვა ყაიდის ხალხი ვიყავით... გასაოცარია, რომ მე თავად მოვიწვიე იგი გუნდში. თუმცა ნიკოლოზ რიჟკოვი, რომელიც იცნობდა ელცინს ჯერ კიდევ ურალიდან, მაფრთხილებდა: ნუ იზამთ ამას, ბატონო მიხეილ, ბევრ უბედურებას გადაეყრებით მასთან ერთად. ასეც გამოვიდა. ცუდი ხასიათისა იყო იგი. ჭკვიანი, უნარიანი, მაგრამ ძალიან თავხედი...

**– 2000 წლის დასაწყისში თქვენ მე ინტერვიუში მითხარით, რომ არ ხართ მზად, აპატიოთ ელცინს. ახლა, როდესაც იგი ცოცხალი აღარაა?**

– როდესაც ის გარდაიცვალა, მე მივედი მასთან გამოსამშვიდობებლად. ადამიანურად. მაგრამ მე უკვე ვსაუბრობ ელცინ-პოლიტიკოსზე, მის საქციელზე. როდესაც იგი ვიზას აძლევდა ახალი საბჭოთა ხელშეკრულების პროექტს, მაშინ უკვე ზურგს უკან ამზადებდა ბელოვეჟიეს... რა იყო ეს, თუ არა გამყიდველობა?

**– ესე იგი კავშირი დაანგრია ელცინმა, გორბაჩოვი არაფერ შუაში ყოფილა?**

– მე არ ვიხსნი პასუხისმგებლობას იმისთვის, რომ შეწყვიტა არსებობა ჩვენმა სახელმწიფომ. ჩვენ დაგვაგვიანდა კავშირის რეფორმა, დაგვაგვიანდა პარტიის რეფორმა. იგი გახდა მთავარი მუხრუჭი, ჯებირი, რომელიც ვერ გავარღვიეთ! პარტიის მდივნების უმეტესობა ადგილებზე მზად იყვნენ თავი გაეწირათ, მაგრამ არაფრის შეცვლა არ უნდოდათ.

**– იყო თუნდაც ერთი შანსი, რომ სსრ კავშირი გადარჩენილიყო და ეცოცხლა ჩვენ დღეებამდე?**

– ასეთი სცენარის ალბათობა 60 პროცენტს შეადგენდა. მოკავშირე რესპუბლიკებს, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გარდა, დიდად მაინცდამაინც არ უნდოდათ გამოყოფა. ეს აჩვენა 1991 წლის რეფერენდუმმა. დღესაც კი, სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ხალხი წუხს საბჭოთა კავშირის შესახებ. მაგრამ ამ დროს სსრ კავშირის აღდგენა ერთმნიშვნელოვნად აღარ სურთ. თანახმა იყო მხოლოდ 9 პროცენტი! ხალხი ფიქრობს, რომ ახალ საბჭოთა კავშირში ყველაფერი დათრგუნული იქნება. თუმცა ჩვენ ვაპირებდით რესპუბლიკებისთვის მიგვეცა დამოუკიდებლობის მაქსიმუმი. მზადდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა – არსებითად სოციალ-დემოკრატიული... მაგრამ 1991 წლის აგვისტოში მე წავედი ყირიმში – თითქოსდა შემეძლო რამდენიმე დღით დავსვენებულიყავი. მიმაჩნდა, რომ გავმაგრდი საშინაო ოპოზიციასთან ბრძოლაში, რომ უმრავლესობა ჩემს მხარესაა. მაგრამ ახლა მესმის, რომ ეს გაყოყოჩება იყო. და პუტჩი გახდა დასასრულის დასაწყისი...

### მომაბეზრეს „მწყემსებმა“

**– სსრ კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში ხავერდოვანი რევოლუციებიდან ოცი წლის შემდეგ ციებ-ცხელება შეეყარა აფრიკას. ეს კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ ავტორიტარული რეჟიმები განწირულია?**

– ხალხს არსად არ სურს იყოს პირუტყვი... ნახირი, რომელსაც ათობით წლის განმავლობაში ერთი და იგივე „მწყემსები“ მართავენ. გასაოცარია: მუბარაქი ეგვიპტეში ხელისუფლების სათავეში იყო 29 წლის განმავლობაში. სხვათა შორის, არ იყო ცუდი კაცი, მე მას კარგად ვიცნობდი. მაგრამ – ჩაჯდა, ხალხს მობეზრდა! იგივე შეიძლება ითქვას კადაფიზეც, რომელიც ლიბიას 42 წელი მართავდა. სხვათა შორის, ჩვენ პლენუმზე თავის დროზე მივედით დასკვნამდე, რომ 10 წელი – ორი ვადა – სავსებით საკმარისია ნებისმიერი დონის ჩინოვნიკისთვის. ცხადია, რომ, თუ პრეზიდენტი ჩაჯდა, მის გვერდით ჩასხდნენ მეგობრებიც, ამხანაგებიც, ვისთანაც იგი მოღვაწეობდა.

**– შეიძლება, რომ ეგვიპტის ან ლიბიის მოვლენები განმეორდეს რუსეთში?**

– რუსეთში არასოდეს არაფერი მეორდება, ჩვენთან ყველაფერი თავისებურად ხდება. მაგრამ არ ღირს გააღიზიანო ხალხი, უსასრულოდ წაართვა მას ყველაფერი. წაართვეს გუბერნატორების არჩევის უფლება. წაართვეს დუმაში არჩევნები ერთმანდატიანი ოლქების მიხედვით. წაართვეს გრაფაც კი „ყველას წინააღმდეგ“ ბიულეტენებში... თქვენ არ მოგწონთ, რომ ხალხი ხმას აძლევს „ყველაფრის წინააღმდეგ“? მაშ გააკეთეთ ისე, რომ სიებში იყვნენ ისეთებიც, ვისი არჩევაც შეიძლება! დღეს ხომ, სიაში რომ შეხვიდე, როგორც წესი, ადგილი უნდა იყიდო. მე არ შემიძლია იმის ყიდვა. ვის შეუძლია? პოლიტიკური სისტემა „გააუმჯობესეს“ ისე, რომ ის კარგებიც კი, ვინც მასში იყო – დეზორგანიზაციაში გაყარეს. პარლამენტი, სასამართლო სისტემა უფრო იმპერიას წააგავს. „ედინაია როსია“ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მოგვაგონებს მის ცუდ წლებში. დასავლეთის პარლამენტებში 3-4 პარტიაა და არც ერთ მათგანს არ აქვს 40 პროცენტზე მეტი ხმა, ჩვენ კი კვლავ შევქმენით მონოპოლია. არაფერი გამოვა მოდერნიზაციასთან დაკავშირებით, თუ ხალხი არ იგრძნობს თავს მოქმედ პირად და არა პასიურ მეთვალყურედ!

**– ხელისუფლებამ უნდა აიღოს თუ არა გაკვეთილები არაბული მოვლენებიდან?**

– აუცილებლად. რამდენჯერ დაგვპირდნენ „ქანჩების მოშვებას“. ხალხისთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებას? მაგრამ ვერტიკალი კვლავ აგრძელებს მოქმედებას. თუმცა უკვე მოლპა ვერტიკალის ფესვები, მას უკვე აღარ შეუძლია გაატაროს გადაწყვეტილება ზევიდან ძირამდე...

### პუტინი თუ მედვედევი?

**– ბევრი თქვენს გარდაქმნას დღევანდელ მოდერნიზაციას ადარებს. ხომ არ გათქვეფავენ კვერცხივით მეორეს, როგორც პირველი გათქვიფეს?**

– დიახ, გარდაქმნა ჩააგდეს. შემდეგ კი მთელი ძალებით ცდილობდნენ მის გათქვეფას. მაგრამ, სხვათა შორის, „ათქვეფილი“ და გაყიდული დღესაც მოქმედებს. მრავალპარტიულობა, სიტყვის თავისუფლება, რწმენის თავისუფლება, უცხოეთში გასვლის თავისუფლება – ყოველივე ეს გარდაქმნამ მოგვცა! მაგრამ განა ბევრი იდეა შვეს ამჟამინდელმა მოდერნიზატორებმა? თუ არ იქნება პოლიტიკური, საზოგადოებრივი ღრმა გარდაქმნები – არაფერი კარგი არ გამოვა... სამწუხაროა, რომ ჩვენში ყველა არხი სახელმწიფოა, ტელევიზია გადაიქცა რაღაც წარმოუდგენელ რამედ: ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს, გარდა მხიარულებისა, არ შეიძლება რაიმე აჩვენონ!

**– 2012 წელს თქვენ ხმას მისცემდით მედვედევს თუ პუტინს?**

– ადამიანური თვალსაზრისით, ორივენი ჩემთვის სიმპათიურები არიან. მაგრამ ერთმაც და მეორემაც უნდა გაიგოს: მათი დრო შეზღუდულია... პუტინმა უკვე ორი ვადა მოათავა, კიდევ ერთი ვადა – პრემიერ-მინისტრობაზე. მე მის ადგილზე პრეზიდენტი აღარ გავხდებოდი.

**– 80 წლის განმავლობაში რა შთაბეჭდილება შეგექმნათ რუს ხალხზე? თუ მას ერთი-ორი სიტყვით აღვწერდით.**

– უნიკალურია! ნიკიტა მიხალკოვმა ოდესღაც მეტად ზუსტად თქვა – ჩვენი ფოლკლორული ხალხიო. ხალხი, რომელიც შესაფერისია დიდი საქმეებისა და აღსრულებებისთვის. გაბედული, მსხვერპლის გამღები... მაგრამ პუშკინიც ზუსტად წერდა მის ზემოთმინების შესახებ. და რამდენი მოღვაწე სარგებლობდა ამით! აშინებდნენ ხალხს, უწოდებდნენ მას ულრანს, რომელსაც არაფერი შეუძლია, რომელსაც არ შეეძლო ამასთან ერთად დემოკრატიაც. მაგრამ გაიხსენეთ, როგორი რეაგირება მოახდინა ხალხმა საჯაროობაზე. რა ხდებოდა ტელევიზორებთან, როდესაც მიმდინარეობდა სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობები. იმ დღეებში თეატრები ცარიელი იყო! ყველას ეკრანებისკენ მიეჩქარებოდა, პოლიტიკისადმი უზარმაზარმა ინტერესმა გაიღვიძა... ჩვენს ხალხში ბევრი რამაა. მხოლოდ არ არის საჭირო გაუთავებლად მისი მოთმინების გამოცდა. ითმენს იგი გარკვეულ დრომდე, შემდეგ კი მოქმედებს პუშკინის მიხედვით – უაზროდ და დაუნდობლად...

### შეტევაა საჭირო!

**– ახლა სად უფრო დიდხანს ხართ – რუსეთში თუ საზღვარგარეთ? ცნობილია, რომ თქვენ ბევრს მოგზაურობთ...**

– რა მოგზაურობაა, რისთვის? შეტევაა საჭირო! მე ვმოგზაურობ იმისთვის, რომ გამოვიმუშაო ფული ფონდისთვის, ოჯახისთვის, საბავშვო კლინიკისთვის, რომელიც პეტერბურგში ავაშენეთ... შემდეგ, რომ არ ყოფილიყო მოთხოვნები ჩემს ლექციებზე, მე არ ვიმოგზაურებდი. არის დასავლეთში სპეციალური ბიუროები, რომლებიც აწყობენ ასეთ მოგზაურობებს. ბილეთები კარგად იყიდება: იყო შემთხვევა, როდესაც ამერიკაში გაყიდეს საკალათბურთო დარბაზი, რომელიც 20 ათას მაყურებელს იტევდა.

**– რუსეთელებთან ურთიერთობა გაქვთ?**

– მოსკოვში ამას წინათ მქონდა შეხვედრა სტუდენტებთან – სამი საათის განმავლობაში 108 შეკითხვა მომცეს. რაზე არ მეკითხებოდნენ... „ბატონო მიხეილ, თქვენ რომელ მასონურ ლოჟას ეკუთვნით?“ მე ვუპასუხე: სოციალ-დემოკრატიულს! უცნაური ხალხი მოვიდა... ზოგჯერ მეკითხებიან: სად დავმალე პარტიის ფული და რატომ მაქვს მე ვილები 7 ქვეყანაში? ერთი სიტყვით, აცოცხლებენ ძველ მითებს. მაგრამ მთლიანად, ჩვეულებრივად საუბარი გამოდის გონივრული, კეთილსინდისიერი და კეთილსასურველი.

**– სხვათა შორის, ვილების შესახებ: თქვენ, როგორც ყოფილ პრეზიდენტს, რა გეკუთვნით სახელმწიფოსგან?**

– ჩემს პენსიას თუ შევადარებთ ზოგიერთი ყოფილი გუბერნატორის პენსიას, ალბათ, გამოვა სამჯერ უფრო ნაკლები. დანარჩენი კი – ეს არის სახელმწიფო აგარაკი, ორი მანქანა, დაცვის ოთხი კაცი.

**– თქვენ გყავთ ქალიშვილი, ორი შვილიშვილი, შვილთაშვილი... ყველა გოგონაა. ხომ არ წუხხართ, რომ მემკვიდრე არ გყავთ?**

– ოჯახში ამჟამად მთავარი კაცი საშაა, ჩემი შვილთაშვილი. ბიჭი კი შეიძლება გაჩნდეს – შვილიშვილებმა მხოლოდ ახლა დაიწყეს გაჩენა. საერთოდ, მე მთელი ცხოვრება ქალებისა და გოგონების წრეში გავატარე. და უნდა გითხრათ: ეს ძალიან კარგი კომპანიაა!

**ვიტალი ცეპლიაევი**

Аргументы и факты

ქალი და გაზაფხული

# სიცოცხლის განახლების სიმბოლო

**– ქალი ოდითგანვე იყო და არის ოჯახის ბურჯი, თავი და თავი ყოველგვარი წინსვლის, სიახლისა და... უმთავრესის – სიცოცხლის განახლების სიმბოლო... – აღნიშნა საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თავმჯდომარემ მაია კვეზერელი-კოპაძემ შეხვედრაზე, რომელიც 4 მარტს საქართველოს სამუსიკო საზოგადოების დარბაზში ჩატარდა. იგი მიეძღვნა დედის დღეს და 8 მარტს. ღონისძიება ასოციაციამ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრთან ერთობლივად გამართა, რადგან ცენტრის ხელმძღვანელს სვეტლანა ქეცბას კარგა ხანია საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს ასოციაციასთან (საღამოს უძღვებოდნენ ს. ქეცბა, მ. კვეზერელი-კოპაძე და ნ. გურგენიძე).**

შეხვედრაზე, ომის გამო აფხაზეთს გამორიდებული ქალბატონების საუბარს, საზეიმო განწყობილების მიუხედავად, მწუხრის ბინდივით გასდევდა ტკივილი აფხაზეთზე. იგონებდნენ იმ კეთილ დამოკიდებულებას, რომელიც აფხაზებსა და ქართველებს შორის სუფევდა. ხაზს უსვამდნენ იმასაც, რომ ეს დამოკიდებულება არ ჩამქრალა, ახლაც არსებობს და მომავალშიც იარსებებს.

ქალბატონები, როგორც აფხაზეთიდან, ისე თბილისიდან, რომლებიც აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ და ახლაც შემოქმედებითად ცხოვრობენ – როზა კუხალაშვილი, ადა მარშანია, ლამარა შუბლაძე, ეთერ ასტემოროვა, რაისა ქარაია, ნანული ჭავჭანიძე, ნათელა ბოკუჩავა და, რა თქმა უნდა, სვეტლანა ქეცბა, მაია კვეზერელი-კოპაძე, ნელი გურგენიძე, ერთსულოვანნი იყვნენ იმ ტკივილის შეფასებაში, რომ აფხაზეთი მათი საერთო საწუხარია, საქართველოს გაერთიანება კი ორივე მხარისთვის სასიცოცხლო და გადაუდებელი საზრუნავი.

აზრთა გაზიარების შემდეგ, ქალბატონები იმაზე შეჯერდნენ, რომ არც რუსეთი და არც ამერიკა ჩვენს სატკივარს ვერ უშველის, ეს მხოლოდ აფხაზებისა და ქართველების მოსაგვარებელია, რისთვისაც მეტი აქტიურობა გვმართებს.



საღამოს პროგრამა საინტერესოდ იყო შედგენილი. ერთმანეთს ენაცვლებოდა მისალმება-მილოცვა და საკონცერტო გამოსვლა, ლექსი, იუმორი, რომლებშიც მონაწილეობდნენ მარიამ წიკლაური, ცისანა ჯულუხიძე, ვახტანგ ქორდანია, თემურ გუგუშვილი, ირინე იაშვილი, თათია შარანგია-შევარდნაძე, მერაბ სიჭინავა....

დასასრულ ასოციაციის წარმომადგენლებმა დამსწრეთ სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

**სოსო ქობულაძე**

**სურათზე: შეხვედრის დროს.**

### რაგბი

# ტიტულის ზღურბლთან



**როგორც მოგეხსენებათ, 12 მარტს 15 საათზე მიხეილ მესხის სახელობის ვაკის სტადიონი ევროპის ერთა თასის გათამაშების IV ტურის ცენტრალურ მატჩს უმასპინძლებს: საქართველო – რუმინეთი. რიჩი დიქსონის გუნდს საპატიო ჯილდოს კიდევ ერთხელ დასაუფლებლად კონკრეტული ამოცანა აქვს დასახული: იგი მიზანს ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვების შემთხვევაში ვადამდე მიაღწევს.**

მომავალი სატიტულო ბრძოლისთვის „ბორჯღალოსნები", პირველად უკანასკნელ პერიოდში უძლიერესი შემადგენლობით ემზადებიან. სასიამოვნოა, რომ შეკრებაზე მამუკა გორგოძეც იმყოფება, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს 2009 წლის შემოდგომის შემდეგ დაუბრუნდა.

რაც შეეხება სტუმრებს, ისინი თბილისში დღეს ჩამოდიან გამოჯანმრთელებული დრაგოს დიმას, სამუელ მარისის, ვალენტინ ურსაჩეს, იონუტ დიმოფტესა და დებიუტანტ ტრაიან პლოშტის თანხლებით, რომელმაც თავი იქაურ 19 და 20-წლამდელთა კოლექტივებში თამაშისას გამოიჩინა, ხოლო კარპატელთა კიდევ ერთი ტრავმირებული ლიდერის ოვიდიუ ტონიტას სარბიელზე გამოსვლის საკითხი ბოლო მომენტში გადაწყდება.

**გიორგი შოთაძე**

### კრივი

# ეწვიეთ სპორტის სასახლეს!

**13 მარტს კრივის მოყვარულებს დაუვიწყარი ზეიმი ელით: სპორტის სასახლეში 20 საათზე დაიწყება საერთაშორისო კრივის ორგანიზაცია IBO-ს ვერსიით სატიტულო ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონის ქამრის მოსაპოვებლად ჩვენს თანამემამულე ავთანდილ ხურციძესა და პოლონელ მარიუშ სენდროვსკის შორის. მის პირდაპირ ტელეტრანსლაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგთავაზებთ.**

მომავალი საინტერესო ღონისძიების ორგანიზატორები არიან უკრაინული საპრომოუტერო კომპანია Elite Boxing Promotion და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. „ჩაქუჩას" გარდა, კვირა საღამოს გულშე-




მატკივარი მშობლიურ რინგზე კიდევ 5 „ჯვაროსანს" იხილავს, რომლებიც სარეიტინგო დუელებს გამართავენ.

**პლატონ გიორგაძე**

### ჭადრაკი

# „ბრინჯაოც", ვალუტაც


დავით ბენიძე

**ირანის ქალაქ მეშჰედში გამართულ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით ითამაშეს დავით ბენიძემ (2522ძ და მერაბ გაგუნაშვილმა (2619ძ, რომლებმაც 11 ტურში 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს და I-VIII ადგილები გაიყვეს. დამატებითი მაჩვენებლით ბენიძეს ბრინჯაოს მედალი და 4250 დოლარი ერგო, ხოლო გაგუნაშვილმა მერვე შედეგისთვის 1530 „მწვანე" დაიმსახურა.**

დანარჩენ ჩვენს თანამემამულეთა მონაგარი ასეთია: მე-15 ადგილი – კონსტანტინე შანავა (შარშანდელი გამარჯვებული), 8 ქულაძ, 25-ე ადგილი – დავით მალალაშვილი, 7,5 ქულა, 27-ე ადგილი – ბაჩანა მორჩიაშვილი – 7,5 ქულა, 34-ე ადგილი – ივერი ჭიღლაძე – 7 ქულა, 54-ე ადგილი – შოთა აზალაძე – 6,5 ქულა.

რაც შეეხება მთავარ ჯილდოს, 2008 წლის ევროპის ჰოლანდიელ ჩემპიონს სერგეი ტივიაკოვს (2623ძ 8 000 დოლარი გადაეცა, ხოლო რუსმა მეორეადგილოსანმა სერგეი გლეიზეროვმა (2581ძ 5200 ამერიკული ვალუტა მიიღო.

სულ ტურნირის საპრიზო ფონდი 40 000 დოლარი იყო.

**ვიტალი ჯაფარიძე**

### ფეხბურთი

# არსენა (ლი) ს ბედისწერა



**მაინც, რა დააშავა ასეთი არსენ ვენგერმა, რომ კიდევ ერთი სეზონის ევროპული ჯილდოთი დასრულებაში, უკვე მერამდენედ „ბარსელონა" ელობება წინ.**

შეგახსენებთ, რომ 2006 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში „არსენალი" სწორედ კატალონიელებთან დამარცხდა, ხოლო შარშან „მეთოფეებს" წირვა პირადად ლეო მესიმ გამოუყვანა, რომელმაც „ნოუ კამპზე" ოთხი გოლი გაუტანა.

სხვათა შორის, პარალელის გავლება წაგებულ ფინალთან ერთი ფაქტის გამოც შეიძლება: მაშინაც და ამჯერადაც ლონდონელთა მეკარეს ვადამდე მოუხდა ბრძოლის ველის დატოვება და პარტნიორთა მხსნელის ფუნქციის შესრულება ალმუნიას დაეკისრა, ოღონდ საბაბები იყო განსხვავებული: თუ 5 წლის წინათ „უკანასკნელი იმედის ჯარიმის" გამო მინდვრიდან ლემანი გააძევეს, სამშაბათს შორეული საჯარიმოს შემდეგ ბურთის მოგერიებისას თითის ტრავმა შჩესნიმ მიიღო.

ეს, ასე ვთქვათ, საკითხის კოსმეტიკური მხარეა, თვით პრინციპული დაპირისპირების შინაარსი კი, მართალია, შეიცვალა, მაგრამ შედეგი ისევ ისეთია. თუ გულახდილნი ვიქნებით, სტუმრები ამჯერადაც განწირულნი იყვნენ, რადგან საკუთარი პროფესიული კრედოსა და ტაქტიკური მსოფლმხედველობის ღალატი ვენგერს კი არა, მასზე გაცილებით აღიარებულ მწვრთნელებს არ შერჩენიათ.

რადგან ღალატი ვახსენეთ, დავაკონკრეტებთ, რომ ყრუ დაცვაში ჩაჯდომა და ანტიფეხბურთი, როცა 90 წუთის განმავლობაში ერთხელაც არ შეუტევ თუნდაც მრისხანე მეტოქის კარს, დიახაც უნდა დაისაჯოს. ინგლისური კლუბი ბედს უნდა უმადლოდეს, რომ მხოლოდ 1:3 დამარცხდა (პირველი მატჩი – 2:1ძ.

**„შახტარი" – „რომა" 3:0 (3:2ძ.**

**გია პლატონიშვილი**

### ფრენბურთი

# როცა გენდობიან

**ზოგადად ქართული ოლიმპიური მოძრაობისა და კონკრეტულად ჩვენი ფეხბურთის კიდევ ერთ აღიარებად შეგვიძლია მივიჩნიოთ შვეიცარიის ქალაქ ლოზანადან მიღებული ინფორმაცია: საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი პლაჟის ფრენბურთში ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირის ტექნიკურ სუპერვაიზერად (ზედამხედველადძ დაინიშნა.**



„მიხარია, რომ ასეთი ნდობა დავიმსახურე. ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მეტად საპასუხისმგებლო მისია დამაკისრა და, ვეცდები, იმედები არ გავუცრუო. მე 2002 წლიდან ვარ ამ ავტორიტეტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს წევრი და, ბუნებრივია, მჭიდრო კონტაქტებიც მაქვს.

შარშან ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტის პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე ასისტენტად მომიწია მუშაობა. ჩვენი ეროვნული ფედერაციის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რომ ახლო ურთიერთობა გვქონდეს ამ პოპულარული სახეობის მმართველ ორგანოებთან, რაც არცთუ უმნიშვნელო საქმეა სპორტულ სამყაროში" – აცხადებს ლევან ახვლედიანი.

**როსტომ რაჭველიშვილი**

### ინციდენტი

# მაურინიუ გადარჩა

**როგორც ამბობენ, ჟოზე მაურინიუ განსაკუთრებული მწვრთნელია. ის, შეიძლება გიყვარდეს ან გძულდეს. მესამე არ არსებობს. ამას წინათ პორტუგალიელს, ახლა მადრიდის „რეალს" რომ წინამძღოლობს, თავს დაესხნენ. ინციდენტი გასულ პარასკევს „დეპორტივოსთან" თამაშის წი-**



**ნადღეს მოხდა, ოღონდ მხოლოდ ახლა გახმაურდა.** დანით შეიარაღებული მამაკაცი ცდილობდა მწვრთნელზე თავდასხმას, როდესაც ის ავტოგრაფებს არიგებდა ლა კორუნიაში. საბედნიეროდ, თავდამსხმელი ვერ მიწვდა მწვრთნელს და მოქნეული დანა თავის თავზე მიიღო კლუბის ერთ-ერთმა მცველმა. დანა თითქმის ოთხ სანტიმეტრზე შევიდა მის სხეულში, მაგრამ დაჭრილი რომ იყო, მცველი მხოლოდ ავტობუსში მიხვდა.

როგორც აეროპორტში განაცხადეს, ინციდენტი აღბეჭდა ვიდეოკამერებმა და ახლა მიმდინარეობს ამ ინციდენტის გამოძიება.

### ინტერნეტიდან

## „ტოტენჰემი" ფორვარდებს ყიდის




**უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ლონდონის „ტოტენჰემი" სეზონის ბოლოსთვის გეგმავს ოთხივე ფორვარდის გაყიდვას, რომლებსაც კონტრაქტი აქვთ გაფორმებული კლუბთან. აი, ისინიც – ჯერმეინ დეფო, პიტერ კრაუჩი, რობი კინი და რომან პავლიუჩენკო. გუნდის მთავარი მწვრთნელი ჰარი რედნაპი ძალზე უკმაყოფილოა თავდამსხმელთა შედეგიანობით. მიმდინარე სეზონში ხომ დეფომ ყველა ტურნირში გაიტანა მხოლოდ ხუთი ბურთი, კრაუჩმა – ცხრა, პავლიუჩენკომ – ათი. კინმა კი, არენდით „ვესტ ჰემში" რომ თამაშობს, – მხოლოდ ორი. მიუხედავად იმისა, რომ პავლიუჩენკოს სხვაზე მეტი გოლი აქვს გატანილი, მთავარი მწვრთნელი მას მაინც არ ენდობა.**

„ტოტენჰემს" კინის მიყიდვა „ვესტ ჰემისთვის" უნდა 6 მილიონ გირვანქად (ეს თითქმის უკვე მომხდარიაძ, პავლიუჩენკოში კი კლუბი 10 მილიონი გირვანქის მიღებას იმედოვნებს.

გაყიდული თავდამსხმელებით ამოღებული ფულით კლუბი აპირებს სხვა ფორვარდების ყიდვას, მთავარ მწვრთნელს მოსწონს „ბილბაოდან" ფერნანდო ლორენტეს, „ვილიარეალიდან" ჯუზეპე როსისა და „რეალიდან" კარიმ ბენზემას თამაში.

## სპორტში ყველაზე გავლენიანი




**ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი აღიარეს სპორტის ყველაზე გავლენიან მოღვაწედ – ასეა უძველესი ბრიტანული გაზეთის Times ყოველწლიური რეიტინგით.**

გაზეთის შეფასებით, პირველად სამხრეთ აფრიკაში მოწყობილმა მსოფლიო ჩემპიონატმა ფეხბურთში, აგრეთვე 2018 და 2022 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მასპინძლებად რუსეთისა და ყატარის არჩევამ, 2010 წელი აქცია ფიფას და მისი თავკაცის წლად. ბლატერმა გასულ 12 თვეში ძალზე დიდი გავლენა მოახდინა მთელს მსოფლიოში ფეხბურთის განვითარებაზე.

ისიც უნდა ითქვას, რომ ფიფას თავკაცის ასეთ შეფასებას არ ეთანხმება ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია. იქ მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ფედერაციის სათავეში სამი ვადით ბლატერის ყოფნა სრულიად საკმარისია და ფიქრობენ აზიის ფეხბურთის კონფედერაციის თავკაცის მუჰამედ ბენ ჰამამის მხარდაჭერაზე ფიფას ახალი მეთაურის არჩევნებში.

## აუზი და ჩოგბურთი ამჯობინა



**როგორც ჩანს, ცნობილ პოლონელ მოდელს ეველინა ოლჟაკს ძალზე უყვარს სპორტი. ჯერ ერთი, ლამაზმანი, სამოდელო ბიზნესში 15 წლის რომ ჩაება, ეთაყვანება ცურვას და აუზში ყოველდღე დადის, ამას გარდა ის ჩოგბურთსაც მისდევს.** გასაკვირიც იქნებოდა, რომ პოლონეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალი არ დაინტერესებულიყო სპორტის არისტოკრატული, პრივილეგირებული სახეობებით. რაც შეეხება ფეხბურთს, ის ეველინას არც აინტერესებს. თანაც ვის უნდა უქომაგოს მან? პოლონეთის ნაკრებს, მსოფლიო ჩემპიონატზეც კი რომ ვერ მოხვდა სამხრეთ აფრიკაში?

თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ არიან ლამაზი და მდიდარი ფეხბურთელებიც, რომლებიც ალბათ შეძლებენ ეველინას ყურადღების მიპყრობას.

◉ მისი ვარსკვლავი



# წლები „გრიგალს“ ვერ ჩააქრობს!

**რას აღარ წერდნენ გაზეთები ომარ მხეიძეზე – სცენაზე ამოვარდნილი ქარიშხალიო... სცენაზე ამოვარდნილი გრიგალიო... ომარ მხეიძე – სახე მსოფლიოს „მერვე საოცრებისაო!..“**

მაინც რა თაობა იყო – ერთმანეთზე უკეთესი ქალ-ვაჟები, „სუხიშვილების ანსამბლის“ სახეს წარმოადგენდნენ ჩვენთან თუ უცხოეთში...

დრო გადის, ის ლეგენდარული თაობა სიბერეში შედის, წლები მიემატა, ცხადია, საქართველოს სახალხო არტისტს, ქართული ცეკვის რაინდს ომარ მხეიძეს.

ჰოდა, რაღაი ტრადიციად დამკვიდრდა, უკეთესი მიზეზი რაღა იქნებოდა, და, გუშინწინ საღამოს, თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ, ომარ მხეიძის „ვარსკვლავიც“ აკიაფდა...

ამ ფაქტისადმი მიძღვნილ კონცერტში კი ერთმანეთს ცვლიდნენ „სუხიშვილების“, „ერისიონის“, „რუსთავის“ მოცეკვავეები და მომღერლები, ცნობილმა მხატვარმა ნელი ბერაიამ შესანიშნავი ფერწერული ტილო – ომარ მხეიძის ცნობილი პორტრეტი უსახსოვრა ღვაწლმოსილ მოცეკვავეს.

არ გააწბილა თავისი თაყვანისმცემელი ომარმა, წლები მემატება, მაგრამ არც ისე ეგრეა საქმეო, და თავისებური, განუმეორებელი ილეთებით, რომ იტყვიან, ცეცხლი დაანთო სცენაზე!.. მერე კი გაიხსნა „ვარსკვლავი“, მართლაც რომ ამაგის დაფასება ომარ მხეიძისა...

ალალ იყოს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ კონფერენცია

# ოჯახის ფენომენზე იმსჯელეს

**„ტრადიცია და ოჯახი თანამედროვე ყოფაში“ – სასტუმრო „რედისონში“ „ევრაზიის დიალოგის პლატფორმის“ მიერ საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სემინარის მონაწილეებმა ოჯახებში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გეგმებზე იმსჯელეს. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა „ევრაზიის დიალოგის პლატფორმის“ თავმჯდომარე გიული ალასანია და აღნიშნა, მნიშვნელოვანია ქალი ქართულ კულტურაში, ჩვენთვის ყველაფერი ძვირფასი დედით იწყებაო.**



მისი თქმით, „ევრაზიის დიალოგის პლატფორმა“ ებრძვის გაუნათლებლობას, ქსენოფობიას, სიღარიბეს, „და ამ ბრძოლაში არავინაა დამარცხებული, რადგან ბრძოლის იარაღია დიალოგი, ქველმოქმედება, სკოლებისა და უნივერსიტეტების გახსნა სხვადასხვა ქვეყანაში და ძალიან აქტიური ურთიერთობა საზოგადოებასთან.“

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ **გიგი წერეთელმა** პარლამენტის სახელით მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს და ხაზი გაუსვა ქალბატონების როლს არა მარტო ოჯახში, არამედ – საზოგადოებაში, ნებისმიერ სფეროში. მისი თქმით, თანამედროვე ოჯახის ფენომენი კომპლექსურად შესასწავლია, თუ როგორი უნდა იყოს საოჯახო პოლიტიკა, რომ ხელი შევუწყოთ ჩვენი ოჯახების როგორც ეკონომიკურ, ასევე სულიერ და ზნეობრივ სიძლიერესო.

„ევრაზიის დიალოგის პლატფორმის“ პრეზიდენტმა **ვლადიმერ სერგეიჩუკმა** აღნიშნა, რომ ოჯახის თემა პლანეტარული, ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა. ჯერ კიევში, შემდეგ კი ანტალიაში ჩაუტარებიათ დიდი კონფერენცია, ახლა კი მსჯელობა თბილისში გაგრძელდა. მისი თქმით, საქართველო ამ მხრივ მისაბაძია.

თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის საპარლამენტთაშორისო მეგობრობის კომიტეტის თავმჯდომარემ **ჯელალ ერბაიმ** ვერ დამალა აღფრთოვანება საქართველოს მიმართ, რომ აქ დედას განსაკუთრებით პატივს სცემენ და აფასებენ. მან ყველა დედას მოუწოდა მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისთვის იზრუნონ.

**მეუფე დანიელის** თქმით, ეს დღე დიდად მნიშვნელოვანია, რადგან კულტურისა და ცივილიზაციის დიალოგში შეაქვს წვლილი და აერთიანებს ყველა ერის, კულტურისა და ცივილიზაციის წარმომადგენელს.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **ანდრია ურუშაძე**, თურქეთის რესპუბლიკის ტურიზმის ყოფილი მინისტრი, დეპუტატი **გულდათ აქშითი**, „დიალოგ ევრაზიის პლატფორმის“ თანათავმჯდომარე **ჰარუნ თოქაქი,** თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ლევენთ მურათ ბურჰანი,** პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ურსულა დროშევსკა,** რუმინეთის სრულუფლებიანი ელჩი **დან მიხაილ ბარლიბა,** ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი **ელჩი მაჯიდ სამადზადე საბერი...**

„ევრაზიის დიალოგის პლატფორმა“ სამოქალაქო ორგანიზაციაა, რომლის მიზანი ერებს შორის დიალოგი და ევრაზიის კულტურულ-ინტელექტუალური სიმდიდრის მთელი მსოფლიოსათვის გაცნობაა.

**ნატა ნიბლაძე**



უახლოესი მეგობრები და კოლეგები – თენგიზ მენთეშაშვილი, გურამ გაბუნია, ბორის სარალიძე, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, ნათელა ლაღიძე, დალი ბოჯგუა, ზაურ მესხიშვილი, ჯემალ კუხალაშვილი, ნიკოლოზ ნეფედოვი, გივი ანჩაბაძე, გივი გადელია, ოთარ ქვილითაია, ჯიმი მიქელაძე, ავთანდილ საყვარელიძე ღრმა გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, კაცთმოყვარეობითა და ღირსებით გამორჩეული მამულიშვილი

ბეგლარ მახარაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 10, 11 III, 17 სთ. გამოსვენება 12 III, 14 სთ. ზ. ფალიაშვილის ქ. 33ა III სადარბაზო.

---

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი თანაუგრძნობს თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ თემურ წურწუმიას ბიძის

ივანე ცაგურიას

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 10 III, 15 სთ. ქ. ფოთი, ნინოშვილის ქ. №39/7.

გამოსათხოვარი

# გურამ ღლონტი – ერთგულების ეტალონი



ჭეშმარიტი მამულიშვილი დააკლდა ქართულ სამედიცინო საზოგადოებას – გარდაიცვალა გურამ შალვას ძე ღლონტი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო ცენტრის და ქალაქის I კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიის განყოფილების პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი.

იგი დაიბადა ქ. თბილისში 1934 წლის 5 ივნისს. დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-11 საშუალო სკოლა და სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გააგრძელა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო ცნობილი ქართული ქირურგიული სკოლის კორიფეების – ეგნატე ფიფიას, მიხეილ ჩახავას, დარია ბერეჟიანისა და ავთანდილ კუტუბიძის პატრონაჟით.

გურამ ღლონტი იყო ჭეშმარიტი მეგობარი, სინდისის, ერთგულებისა და პატიოსნების განსახიერება. დაჯილდოებული იყო მუსიკალური ნიჭით. უყვარდა მეგობრებთან ლხინი, სიმღერა. განსაკუთრებით ხიბლავდა საოპერო ჟანრი და საოცარი ალტკინებით ასრულებდა სხვადასხვა არიებს. ახლაც ჩაგვესმის მისი ხავერდოვანი ბარიტონი. შენმა უეცარმა წასვლამ გული მოუკლა შენს გიგოს და მარინას, შენს შვილიშვილებს – გურამიკოსა და ნიკუშას, შენს ჭარმაგ მეგობრებს, რომლებსაც სიცოცხლის უკანასკნელ წამს საშველადაც ვერ უხმე.

უმწიკვლოდ იცხოვრე, ჩვენო გურამ, იყავი კაცობისა და გულისხმიერების ნიმუში, მარად სიმართლისათვის ილვწოდი და ნეტარ იქნები, როგორც ცათა შინა, ასევე ჭეშმარიტი ერიშვილების გულთა სასუფეველში.

მეგობრები

◉ ინფორმაცია

# ინციდენტი „თაღლაურასთან“

**თბილისში რესტორან „თაღლაურასთან“ ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. ინციდენტი 8 მარტს მოხდა. რამდენიმე პირს შორის შელაპარაკება თავად რესტორანში, სხვადასხვა მაგიდასთან მსხდომ სტუმრებს შორის დაიწყო, რაც მოგვიანებით გარეთ გაგრძელდა.**

**დაპირისპირების დროს ცივი იარაღით გულმკერდის არეში დაჭრეს თადეოზ ფხაკაძე, რომელიც ღუდუშაურის კლინიკაშია გადაყვანილი.**

**ჩხუბში მონაწილე სხვა პირები სამართალდამცველებმა იმავე დღეს დაკითხეს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**



# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „ელმავალმშენებელი“ 2011 წლის 9 მარტიდან აცხადებს აუქციონს ფერადი ლითონის ჯართის რეალიზაციის შესახებ.**

➢ **ლოტი №1 – სპილენძი:**

**სუფთა ჯართი** – 3200 კგ. – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 8000 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ბურბუშელა** – 361 კგ. – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 6650 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**წევის ძრავების იზოლირებული კოლექტორი** – 1575 კგ. – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 6650 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**ძრავების იზოლირებული გრაგნილები** - 6500 კგ. – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 6650 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე;

**სხვადასხვა იზოლირებული სადენები (1.5÷185 მმ²)** – 7925 კგ. – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 6650 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე.

➢ **ლოტი №2 – თითბერი:**

**თითბერი** – 1300 კგ. – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 3750 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე“, რომელიც წაგების შემთხვევაში დაუბრუნდება უკან (ლოტის №1 საერთო საწყისი ღირებულების, 134400.65 დოლარი დ.ღ.გ.-ს გარეშე, 10% – 13 440.065 დოლარი და ლოტის №2 საერთო საწყისი ღირებულების, 4875 აშშ დოლარი დ.ღ.გ.-ს გარეშე, 10% - 487.5 დოლარი (ექვივალენტი ლარებში) დ.ღ.გ.-ს გარეშე), შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი“, ანგარიშის ნომერი GEL: 340698102000010330000, ანგარიშის ნომერი USD: 341684002000010330000

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე“ არ დაუბრუნდება.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმე დღეების გარდა, $10^{00}$ – დან $15^{00}$ – საათამდე (ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული).

აუქციონი გაიმართება 2011 წლის 24 მარტს $15^{00}$ საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

**აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
3. პირადობის მოწმობის ქსეროასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

დამატებითი ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ: **ტელ. 65-10-34 , 877 55-10-34 , 877 43-47-42**

სს „ელმავალმშენებელის“ მუდმივმოქმედი სატენდერო და სააუქციონო კომისია.

## დაიჯესტი

### ერთიანად, თუ ცოტ-ცოტა და ხშირად?



**შვებულებისგან მაქსიმალური სიამოვნების მისაღებად, საჭიროა... მისი ოთხ ნაწილად დაყოფა, მიაჩნიათ ამერიკელ მკვლევარებს.**

– ხანგრძლივ დასვენებას ის ხარვეზი აქვს, რომ ერთი კვირის შემდეგ სიახლისა და ბედნიერების შეგრძნება ქრება. საქმე ის არის, რომ ყველაზე სასიამოვნო და ამაღელვებელია დასვენების პირველი დღეები. ამდენად, წლის განმავლობაში ოთხი პატარ-პატარა დასვენება ადამიანისთვის გაცილებით უფრო მეტი ფსიქიკური ჯანმრთელობის მომტანია, აცხადებენ მეცნიერები.

ერთი კია: მათ დასკვნას ყველა როდი იზიარებს.

### თანამედროვე მონები

**ბოლო თითქმის ორი წლის მანძილზე ჩინეთის პოლიციამ მონებით ვაჭრობის 16 ათასი მსხვერპლი გაათავისუფლა.**

მოყოლებული 2009 წლის აპრილიდან, როცა ადამიანებით ვაჭრობის აღმოსაფხვრელი საერთო-ეროვნული კამპანია დაიწყო, ჩინეთის პოლიციამ დამონებული 10621 გატაცებული ქალისა და 5896 ბავშვის გათავისუფლება შეძლო. მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, რაც ამ უბინძურეს საქმეში გარეული მრავალი დამნაშავის დაპატიმრებით გამოიხატა, პოლიციელები აცხადებენ, რომ მონებით ვაჭრობის მხრივ ვითარება დღითი დღე უარესდება.

### რა ღირს პატარძალი?



**ინგუშეთის პრეზიდენტის იუნუს-ბექ ევკუროვის თანდასწრებით, რესპუბლიკის მუსლიმთა კონფერენციამ ურვადსა და სისხლის აღებაზე ახალი ნიხრი დააწესა. ამჟამად, პატარძლის გამოსასყიდი თანხა 40 ათასი რუბლია, ხოლო სისხლის აღების გამოსასყიდი – მილიონი რუბლი. უწინ მკვლელის ოჯახს სისხლის აღების თავიდან აცილება 50-200 ათას რუბლად შეეძლო, ურვადის (საპატარძლოს გამოსასყიდის) მინიმალური ფსონი კი 12,5 ათასი რუბლი იყო.**

რესპუბლიკაში გაბატონებული შუა საუკუნოვანი წეს-ჩვეულებების შესახებ ევკუროვმა რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელს ვლადიმერ პუტინს მოახსენა, რომელიც ამ ამბავს გარკვეული ირონიით შეხვდა და რჩევა მისცა, რომ უმჯობესი იქნება, თუკი ინგუშები ურთიერთობათა თანამედროვე მეთოდებზე გადავლენ.

### თვითირონიის მაცოცხლებელი ძალა

**ჯანსაღი იუმორის პატრონი ადამიანები, ნორვეგიელ მეცნიერთა აზრით, სხვებზე გაცილებით დიდხანს ცხოვრობენ.** თანაც, სპეციალისტთა აზრით, მეტად მნიშვნელოვანია, კაცს შეეძლოს არა მარტო გარშემო მყოფებს, არამედ



საკუთარ თავსაც დასცინოს. ეს დასკვნა მეცნიერებმა სხვადასხვა ადამიანთა ცხოვრებაზე შვიდწლიანი დაკვირვების შემდეგ გამოიტანეს. საინტერესოა, რომ ნებაყოფლობით გამოკვლევაში მონაწილეობა 35 ათას კაცზე მეტმა მიიღო.







### თითი არ გამოილო ცხვირიდან, თითი-მეთქი!

**ავსტრიელი ექიმი ფრიდრიჰ ბიშინგერი მიიჩნევს, რომ თითით ცხვირის გამოწმენდა – საუკეთესო საშუალებაა ფილტვებისთვის ჰაერის მიწოდების „კარის“ გასაღებად. ამერიკელმა ექიმებმა კი დაადგინეს, რომ ცხვირის ღრუს რეცეპტორების თითით სტიმულირებით ორგანიზმის სხვადასხვა სისტემების სტიმულირება შეიძლება.**

თუ რამდენად იციან ამერიკელ მეცნიერთა ამ დასკვნის შესახებ მსოფლიოში ცნობილმა პიროვნებებმა, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მათი რჩევის შესრულებას ისინი არც საჯაროდ ერიდებიან.

### წყალდიდობას მოყოლილი აღმოჩენები



**იტალიაში 1966 წლის წყალდიდობამ 884 ხელოვნების დიდებული ნიმუში დააზიანა, მათ შორის ჩიმაბუეს ცნობილი ჯვარცმა.**

მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს ისიც ვთქვათ, რომ სტიქიურ უბედურებას ბევრი სასიკეთო ამბავიც მოჰყოლია. კერძოდ, პიზაში წყალმა დატბორა ფრანცისკ ასიზელის სახელობის ეკლესია. ეს უცნაური კაცი კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, სინამდვილეში კი იგი ალორძინების, ეკლესიის, პაპიზმისა და მისი სქოლასტური იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართული ჰუმანისტური მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. ეკლესიაში წყლით დამბალი ბათქაში ჩამოცვივდა და გამოჩნდა XII საუკუნის, ფრანცისკ ასიზელის დროინდელი დიდებული ფრესკა, რომელზეც „ხარება“, ადრეული ალორძინების მხატვართა საყვარელი თემა იყო გამოსახული.

ფლორენციაში წყალმა ძირი გამოუთხარა სან-ლორენცოს საყდარს. სარდაფებიდან წყალი და ტალახი რომ ამოქაჩეს, მაშველებმა ორი დიდებული აკლდამა აღმოაჩინეს, რომელთაგან ერთ-ერთში კოზიმო მედიჩი-უფროსის (1389-1464 წ.წ.ძ, მედიჩის დინასტიის დამაარსებლის ცხედარი ესვენა, რომელიც ფლორენციას სამი საუკუნის მანძილზე მართავდა. საოცრად გამდიდრებული კოზიმო ფლორენციის რესპუბლიკის პირველი დიქტატორი გახდა, მისმა შთამომავლებმა კი ფლორენციისა და ტოსკანის ჰერცოგების ტიტულები მიიღეს.

მეორე აკლდამაში კი კოზიმოს თანამედროვის, ცნობილი მოქანდაკის დონატო დი ნიკოლო დი ბეტო ბარდის (1386-1466 წ.წ.ძ ცხედარი იყო, რომელიც უფრო მეტად დონატელოს სახელითაა ცნობილი.



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7642 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3923 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

- ყველამ იცის, რა იყო ტროის ცხენი, ხოლო რა არის „ტროის ხარი“, ძალიან ცოტამ – ეს არის მონეტა.
- ალაბამას შტატში ვინმე ჯექსონის მაღაზიის ვიტრინაში ელეგანტური მოდური ტანსაცმელია გამოფენილი. თუმცა აქ სულაც არ იყიდება ტანსაცმელი, ჯექსონი ამ მაღაზიაში დიეტურ პროდუქციას ყიდის.
- დისნეილენდში მიმოქცევაშია დოლარები, რომლებზეც პრეზიდენტის ნაცვლად სულ სხვა რამ არის გამოსახული.
- ტაქსით ყველაზე ხანგრძლივი მოგზაურობის რეკორდი ეკუთვნის ინგლისელს, რომელმაც 1988 წელს 14 ქვეყანა შემოიარა და 22000 კილომეტრი გაიარა. მგზავრობა მას 31.466 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.
- XII საუკუნის რაინდები მუზარადის მოხსნისას აუცილებლად კარგად იბანდნენ შეხების ადგილებს, რადგან ჟანგი კანს ძალიან აღიზიანებდა და ხშირად წყლულებსაც აჩენდა.
- ისააკის ტაძრის გუმბათის მოოქროებას 50 კაცის სიცოცხლე შეეწირა. ისინი ვერცხლისწყლით მოიწამლნენ.
- ყველაზე გრძელი გზა თვითმფრინავით უბილეთოდ კუბელმა სოკარას რამირესმა გაიარა. ჰავანიდან მადრიდამდე ის სათადარიგო შასიში იმალებოდა.
- კომოდუსი, სევერუსი, ქლორუსი, სოლონინა – ეს სახელები ხშირად შეგხვდებათ ძველი რომის ისტორიის წიგნში, რადგანაც ისინი იმპერატორები იყვნენ, სოლონინა კი იმპერატორ გალიენის მეუღლე.

## კადრი



## ანეკდოტები

ქმარი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა შინ და ცოლს საყვარელთან წაასწრო. უყურა, უყურა შიშისგან მოკუნტულ კაცს და ეკითხება:

– მე, კარგი, ქმარი ვარ, მაგრამ შენ რა გრჯის?

* * *

სიტყვა ჩიტი არ არის. არაფერი არ არის ჩიტი ჩიტს გარდა.

* * *

თუ გინდა, ჯანმრთელი კბილები გქონდეთ, უნდა დაიცვათ სამი წესი: 1. გაიხეხოთ კბილი დღეში ორჯერ; 2. წელიწადში ორჯერ მაინც ეწვიოთ სტომატოლოგს; 3. არ ჩაყოთ ცხვირი სხვის საქმეში.



* * *

– გაიგე, კაცო, მიხო სამსახურიდან გაუგდიათ!

– რატომ?

– სწორედ იმ დროს შეუსწრიათ, პაციენტთან სექსუალურ კავშირს რომ ამყარებდა.

– აუჰ, სად ვიშოვით ახლა მასავით კარგ ვეტექიმს!

* * *

– მოქმედების პროგრამა გაქვთ?

– პროგრამა – კი, მოქმედება – არა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.